577 ლ 9241

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 4 იანვარი, პარასკევი
№ 1 (2178)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მრავალჟამიერ, ჩვენო ქვეყანავ!

მოვიდა ახალი წელი!

1980-ს „მრავალჟამიერის" გუგუნით შეხვდა მთელი საქართველო. და ამ გუგუნში ისმოდა კანონიერი სიამაყე განვლილი წლის გამო, დიდი იმედი დამდეგი წლისა.

კარგზე და კეთილზე უნდა ვთქვათ უპირველესად, — ამგვარია საახალწლო ტრადიცია — ცუდი და ბოროტი ძველ წელს უნდა გავაყოლოთ. კეთილზე სათქმელს კი რა გამოგვილევს, სწორედ ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს კეთილ საქმეთა წელი იყო შარშანდელი წელი.

მშვიდობას ბურჯად კვლავ ჩვენი დიდი ქვეყანა ედგა, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ახალმა სამშვიდობო წინადადებებმა, შეუპოვრად გადადგმულმა ნაბიჯებმა, დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულმა უდიდესმა შრომამ შეაძლებინა მსოფლიოს ხალხებს დედამიწის მრავალ კუთხეში მშვიდობის შენარჩუნება. მშვიდობიანი შრომისა და შენების გზა კვლავ მთავარი და გადამწყვეტი იყო საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში.

ბევრი იშრომა ხუთწლედის მეოთხე წელს ჩვენმა მუშათა კლასმა. შარშანაც გაგვახარა თავისი ახალი გამარჯვებებით ენგურჰესის კოლექტივმა, შარშანაც შემატეს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს ჩვენმა მშენებლებმა საცხოვრებელი სახლები, სკოლები და საბავშვო ბაღები, კლუბები და ბიბლიოთეკები. გაიკვალა ახალი გზები, დაირგო და ჩვენს ბუნებას შეემატა ათასობით ნერგი.

რესპუბლიკის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა გაგვახარეს თავიანთი სწავლითა და გარჯით. ამის დასტური იყო ლენინის ორდენი საქართველოს კომკავშირის დროშაზე, „მესამე სემესტრის" საამაყო საქმეები, ახალგაზრდობის წარმატებანი სამეცნიერო ლაბორატორიებში, ხელოვნებასა თუ სპორტში.

განსაკუთრებული იყო შარშანდელი წელი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" კვლავაც დაგვისახა ამოცანა: მთავარი ყურადღება მიექცეს ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნას, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა ხალხის გმირული მიღწევები, სოციალისტური საზოგადოების განვითარების პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება კვლავაც მიექცეს ნაწარმოების მოქალაქეობრივ, იდეურ პათოსს, ფორმის მაღალმხატვრულობას, ჟანრობრივ და სტილურ მრავალფეროვნებას.

მოქალაქეობრივმა და შემოქმედებითმა აქტიურობამ ქართველი მწერლები გამოიყვანა ცხოვრების ფართო გზაზე. ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა მუდმივი რუბრიკა — „მწერალი მივლინებაში", მწერლებმა მოიარეს რესპუბლიკის ყველა კუთხე, გასცდნენ რესპუბლიკის ფარგლებსაც, ეწვივნენ მეათე ხუთწლედის გრანდიოზულ მშენებლობებს. ამ შემოქმედებით მივლინებათა შედეგად შეიქმნა ახალი ნარკვევები, ლექსების ციკლები... მწერალთა შემოქმედებით გეგმებშია ახალი რომანები, მოთხრობები, პიესები, პოემები.

ხელოვნების მუშაკთათვის რესპუბლიკაში შექმნილმა ნამდვილმა შემოქმედებითმა ატმოსფერომ, ხელოვანთა მზადყოფნამ ახალი ნაწარმოებებით გაამდიდრონ ჩვენი კულტურა, გასულ წელსაც თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო: შეიქმნა მონუმენტური ხელოვნების ახალი საყურადღებო ქმნილებები; ქართველი მუსიკოსები წარმატებით გამოვიდნენ მოსკოვისა და მოძმე რესპუბლიკების საკონცერტო დარბაზებში, საერთაშორისო კონკურსებში; ქართულმა ფილმებმა კვლავ გაიმარჯვეს საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე; ქართულმა თეატრმა წარმატება მოგვიტანა ედინბურგის თეატრალურ ფესტივალზე. ჩვენი რესპუბლიკის კულტურის მუშაკებმა დაიმსახურეს მაღალი საპატიო წოდებანი.

ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შთაგონებულ შრომას, აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას, ცხოვრების მხარდამხარ დგომას, ეპოქის რიტმის მძაფრ შეგრძნებას.

შარშანდელი წლის დაგვირგვინება იყო ჩვენი სოფლის მშრომელთა გამარჯვება, შემოდგომის ბარაქიანი რთველი, სიხარული, რომელიც ჩვენმა მევენახეებმა, მეჩაიეებმა, მეხილეებმა მოგვიტანეს. ამ გამარჯვებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ბრეჟნევის მილოცვაში:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს მიღწეულ წარმატებებს საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელ და სატრასპორტო ორგანიზაციებს, სამრეწველო საწარმოებისა და სასწავლებლების კოლექტივებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს"...

დადგა 1980 წელი, წელი დიდი შრომისა და ახალი გამარჯვებებისა. ეს იქნება ლენინური იდეების ზეიმის წელი, 110-ე წლისთავი პროლეტარიატის დიდი ბელადის დაბადებისა. „სკკპ ცენტრალური კომიტეტი კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იუბილეს შეხვდნენ კომუნიზმისათვის ბრძოლის ახალი წარმატებებით, გადააქციონ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი დამკვრელური, ლენინური მუშაობის წლად".

ამ ახალწლის დღეებში ჩვენ ვხედავთ ჩვენს ხალხს, ჩვენს მშრომელებს, ქართული ლიტერატურის მთავარ გმირებს, რომელთათვისაც მუდამ წმიდათაწმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, შემოქმედებითი შრომა, პატიოსანი მშრომელი კაცის სახელი; თქისებები, რომლებიც ჩვენს ხალხს გადმოეცა საუკუნეთა სიღრმიდან, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა „ვეფხისტყაოსანში", საბას, გურამიშვილის, ილიას, ვაჟას და სხვათა უკვდავ ქმნილებებში.

ყოველი ახალი წელი დიდი იმედით იწყება.

დიდი იმედი ნუ მოგვშლოდეთ...

იბედნიერეთ და იხარეთ, სიხარული — თქვენს ჭერქვეშ, ბარაქა — თქვენს ბეღლებში, დიდი და ნათელი მომავალი — თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს, გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

## მწერლები — მეცნიერებათა აკადემიის წევრები

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების და წევრ-კორესპონდენტების არჩევა.

ქართველ მწერალთაგან მეცნიერებათა აკადემიაში არჩეული არიან:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად — გრიგოლ აბაშიძე.

წევრ-კორესპონდენტად — გიორგი ციციშვილი.

ვულოცავთ ქართველ მწერლებს ამ დიდ პატივს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს შემოქმედებით შრომაში.




პლაკატი თენგიზ სამსონაძისა.

## გივი გეგეჭკორი

## თქვენი მეკვლე ვარ!

ხვალის ოცნებით ფრთაშესხმული მე მოვალ თქვენთან,
როცა თორმეტი დაირეკება,
ლექსის წკრიალა უზანგებზე შემდგარი გეტყვით:
ახალი წელი მომილოცავს, თქვენი მეკვლე ვარ!..

მე მომაქვს რწმენა ჩემი ხალხის უკვდავებისა,
რა ძლიერი ვარ, თქვენ იგულისხმეთ!
მე მომაქვს ჩემი სიყვარული გააზრებული
და ის მომიძღვის თქვენი სულისკენ!

ჩემი თვალები გაქცეული მომავლისაკენ
აციმციმებულ თქვენს თვალებში აირეკლება,
როგორც ჩიტები მთვარის შუქით გალვიძებული...
ახალი წელი მომილოცავს, თქვენი მეკვლე ვარ!

თქვენი თვალების ლამეებში მოვაბიჯებდი
კაცი, ქცეული ლექსის სტრიქონად,
თანამზრახველთა ძიებაში თმაგათეთრებულს
თქვენსკენ მომავალ გზას ვერავინ ამომიქოლავს.

ვინც ქართულ სიტყვას ისე არწევს, ვით ბავშვის აკვანს,
ისე ჩავიკრავ, რომ ტკივილი იგრძნონ ნეკნებმა,
მოვალ და გეტყვით თქვენი მზერით გამხნევებული:
ახალი წელი მომილოცავს, თქვენი მეკვლე ვარ!..

ვინც სიყვარულის ხანძარს უკვე დაემორჩილა
და ჯერ ვის სულშიც მხოლოდ სძინავს ვნების ზაფხულებს,
ბავშვობის ზღაპრულ სასახლიდან გამოძევებულს
ვისაც ნაძვის ხე ბავშვობაში ისევ აბრუნებს;

ვინც გაიარა უმძიმესი გზა ცხოვრებისა
და მაინც ისევ გულუბრყვილო არის ხბოსავით,
სიკეთისა და ბოროტების ჯვარედინ ცეცხლში
ვინც მოხვდა, მაგრამ მაინც არის პატიოსანი;

ვინც ჩრდილში იდგა და ვინც იდგა სინათლის წრეში,
ვინც წიგნს კითხულობს და ვინც ფარას მიერეკება,
თქვენსა და სიტყვას შუა მავალს კარი გამიღეთ:
ახალი წელი მომილოცავს, თქვენი მეკვლე ვარ!..

## საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

რამდენიმე საათის წინ კრემლის კურანტებმა გვაუწყეს ახალი, 1980 წლის დადგომა. გასული 1979 წელი საბჭოთა ადამიანებისათვის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წელი იყო. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო ლენინური პარტიის, ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნული ხელმძღვანელობით კვლავაც განუხრელად მიიწევდა წინ, კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნებისაკენ.

ამ გზაზე მრავალი წარმატება მოვიპოვეთ, ვძლევთ სიძნელეებს. გულდაჯერებით მიიწევს წინ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია. მოქმედთა რიგში ჩადგა ასობით ახალი დიდი საწარმო. კარგ შედეგებს მიაღწიეს ყამირისა და მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო რაიონების მშრომელებმა, აგრეთვე მებამბეებმა. შთამბეჭდავია მიღწევები კოსმოსური სივრცის ათვისებაში, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში. უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა — მატულობს მათი რეალური შემოსავალი, თანამიმდევრულად წყდება მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების ამოცანა. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელებს.

გულითადი მადლობა ყველას, ვინც მკლავმოუდლელად და უნარის სრული გამოყენებით ირჯება ქარხნებსა და შახტებში, მინდვრებსა და ფერმებში, ტრანსპორტსა და მშენებლობებზე, მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროში, მეცნიერებასა და კულტურაში.

1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წელი იყო. ჩვენს ქვეყანაში იგი აღინიშნა ათასობით კეთილი საქმით: აშენდა ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები, სკოლები და საავადმყოფოები; სტუმართმოყვრულად გააღეს კარი საბავშვო თეატრებმა, პიონერთა სასახლეებმა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებმა, სტადიონებმა და საცურაო აუზებმა. ლენინის ანდერძი „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!" საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების კანონი გახდა. დაე, ნორჩი თაობა შრომისმოყვარე და განათლებული, პატიოსანი და მამაცი, ბედნიერი და ჯანმრთელი იზრდებოდეს.

ძვირფასო ამხანაგებო! 1979 წელს ჩვენი ქვეყანა კვლავ განუხრელად ახორციელებდა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების დადება. მისი რატიფიკაცია და განხორციელება ახალ შესაძლებლობებს შექმნის რაკეტულ-ბირთვული იარაღის არსენალის ზრდის შეწყვეტისათვის.

ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რომლებითაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი გამოვიდა, მკაფიოდ მოწმობს ჩვენს მისწრაფებას ხელი შევუწყოთ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების საქმეს, შევამციროთ საშიში სამხედრო კონფრონტაცია. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ყველა ხალხი უაღრესად არის დაინტერესებული ამით. ყველგან სულ უფრო მეტად ესმით, თუ რაოდენ საშიშია ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ. სულ უფრო იზრდება ხალხთა მასების მოთხოვნები მთავრობებისადმი: ყურად იღონ გონების ხმა, შეაჩერონ გამალებული შეიარაღება. საბჭოთა კავშირი, რომელიც საჭირო ზრუნვას იჩენს თავისი მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს მშვიდობის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

ახალ წელს გულითადად ვულოცავთ ჩვენს ძმებსა და დებს სოციალიზმის ქვეყნებში. გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში განვითარებადი ქვეყნების ხალხებს. ჩვენს სოლიდარობას და მხარდაჭერას ვუცხადებთ კაპიტალისტური სახელმწიფოების თავიანთი უფლებებისათვის მებრძოლ მშრომელებს, კეთილი ნების ადამიანებს, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლს.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყანა ემზადება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, რომელიც, უეჭველია, კვლავ დამაჯერებლად დაადასტურებს ნამდვილ სახალხო ხელისუფლებას, საბჭოთა ხალხის ურღვევ იდეურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მის შეკავშირებას მშობლიური პარტიის გარშემო.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი წლის ყოველი დღე გადააქციონ დამკვრელური ლენინური მუშაობის დღედ. ამასთან მთავარია, რომ თითოეული ზრუნავდეს შრომის ნაყოფიერების, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის განუხრელი ამაღლებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის გაძლიერებისათვის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამაღლებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ახალ წელს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, სახელოვან საბჭოთა ქალებს, ახალგაზრდობას, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს, არმიისა და ფლოტის მამაც მეომრებს, რომლებიც საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას იცავენ. საახალწლო მილოცვა ყველას, ვინც ახლა დგას შრომით ვახტზე, საბრძოლო საგუშაგოზე, ვინც მუშაობს მშობლიური მიწაწყლისაგან შორს.

ჯანმრთელობას, შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში ახალ წარმატებას გისურვებთ ყველას თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო!

ახალ წელს გილოცავთ, ახალ ბედნიერებას გისურვებთ, მეგობრებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ლიტ. საქ. 4 იანვ. 1980 წ.

**კ რ ი ტ ი კ ა**

# „ბურუსის" სინათლე

**თედო ბექიშვილი**

...ით წიგნად გამოვიდა ოთარ ...ძის სამი რომანი: „ბურუსი", ...მართ-დაღმართი" და „ნაკრ...ი". ამ რომანებში მოქცეული ...ოის მონაკვეთი სამ ათეულ ...ლს მოიცავს ჩვენი ცხოვრები...ა, კონკრეტული დროის პრობლემატიკაა მათში დამუშავებული. რომანების განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია სწორედ დრო, როცა ეს რომანები იწერებოდა, რადგან მწერალი თავისი დროისა და ხალხის ცხოვრების მოდარაჯეა...

„ბურუსი" 1954 წელს დაიწერა. მას მერე, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრმა ბურუსმა გადაიარ-გადმოიარა ჩვენს ცაზე, ბევრი რამ გახდა ცხადი, გაფანტული ბურუსის ფონზე ნათლად ამოიზარდა სიმართლე, სიმართლე, რომელიც მწერლის მახვილი თვალისათვის არც მაშინ ყოფილა შეუმჩნეველი.

მოყვარეს პირში უძრახეო, ილია ჭავჭავაძის მიერ ფარზე აზიდული ეს ხალხური სიბრძნე ოთარ ჩხეიძის მწერლური მოღვაწეობის ძირითად დევიზად ქცეულა და ხორცშესხმულა მის რომანებში, მოთხრობებში, ეტიუდებში, ქცეულა მისი ცხოვრების წესად, და არც ცხენი შეუკაზმავს სიმართლის მთქმელს... უნდა ითქვას გულახდილად: ოთარ ჩხეიძეს, როგორც ბელეტრისტს, როგორც „ერის წყლულებზე" მოდარაჯე მწერალს, გუნდრუკის კმევა არა რგებია წილად და დუმილი ჩვენი სალიტერატურო კრიტიკისა თუკი კანტიკუნტად დაირღვეოდა ხოლმე, მაინც ვერ ავსებდა ნაკლულოვნების იმ გრძნობას, რაც სრულიად ბუნებრივად დღემდე დაუფლებია ჩვენს გულსა და გონებას. ბამბის ხელოვნური და ნაძალადევი ჩხრიალი ფარავდა ნამდვილსა და ღირსეულს. ის, რითაც ოთარ ჩხეიძის რომანები იქცევენ მკითხველის ყურადღებას — ცხოვრებისეულ პრობლემათა, საზოგადოებრივ მანკიერებათა პირუთვნელი წარმოჩენა და მოუპირკეთებელი მხატვრული სიმართლე, ცხადია, იმ „ბურუსიან" პერიოდში ჩვენი ცხოვრებისა, როცა ეს რომანები იწერებოდა, ვერ იპოვნიდა მხარდამჭერას, ვერ გამხიანდებოდა მთელი ხმით მწერლის მხუსხავი, ეკლიანი სიტყვა. სამყარო, რომელიც ოთარ ჩხეიძემ ამ რომანში დახატა, ალავაძეთა, კორკოტაძეთა და ქურდოვანიძეთა აღზევების ბურუსიანი პერიოდი, სწორედ იმიტომაცაა ასე ცოცხალი და დამაჯერებელი, რომ მათი ზეობის ხანაში ძნელად მოსათმენი იქნებოდა მართალი სიტყვა მწერლისა; ალავაძეთა, კორკოტაძეთა და ქურდოვანიძეთა გავლენის სფეროები იმდენად ვრცელი გახლდათ, რომ მათ მწერლობის განვითარების ძირითადი ხაზის შეცვლა თუ არა, ამ მწერლობისათვის ხელის შეშლა მაინც შეეძლოთ, ნუ დაგვავიწყდება, რომ მწერალიც საზოგადოების წევრია და ამ საზოგადოების თვალსაზრისის დაპირისპირება, მისი მორალურ-ეთიკური სახის გაშიშვლება და საჯაროზე გამოტანა დიდ პრინციპულობას, სულიერ მოუტეხელობას, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გმირობას მოითხოვდა. მწერალი, რა თქმა უნდა ნამდვილი მწერალი, — ყოველ დროში იყო და რჩება ამ მოცემული დროის მხატვრულ მემატიანედ. მას უფლება არა აქვს თვალი მოუხუჭოს უარყოფითსა და მიუღებელს, თავისი ხალხის, თავისი დროის იმ უარყოფით ტენდენციებს, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე იჩენს ხოლმე თავს. პერიოდი, რომელსაც ოთარ ჩხეიძის რომანები ასახავს, განვლილი ეტაპია ჩვენი ცხოვრებისა, აწ უკვე ჩამოყალიბებული საღი საზოგადოებრივი აზრი უფლებას გვაძლევს იმ დროს ერთხელ კიდევ შევხედოთ როგორც წარსულის მწარე გაკვეთილს, რათა დღევანდელობის სწორი მოქალაქეობრივი ორიენტირებისათვის გავითვალისწინოთ. მაგრამ მწერალი, რა თქმა უნდა, ისევ ნამდვილი მწერალი, — მხოლოდ საზოგადოებრივი ბრალმდებელი არ გახლავთ, იგი მხატვარია უპირველესად. ტიპებს, პორტრეტებს ძერწავს და მის მიერ დახატულ ამ პორტრეტებში ბევრი რამაა ისეთი, რაც აგრე ადვილად, ერთი ხელის მოსმით, დროის გარკვეულ მონაკვეთში არ ისპობა. სარეველას დიდი შეგუებისა და გამძლეობის უნარი აქვს. ყოველდღიური თვალმოუხუჭავი ბრძოლა და სიფხიზლეა საჭირო, რათა ამ სარეველამ ისევ არ წამოჰყოს თავი. ხომ დიდი ხანია ყოველგვარი საფუძველი მოისპო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თათქარიძეობისა, მაგრამ ლუარსაბის ესა თუ ის უარყოფითი თვისება ხანდახან კვლავაც იჩენს ხოლმე თავს ჩვენს ზნეში, ჩვენს ხასიათში...

ოთარ ჩხეიძის სამი რომანი „ბურუსი", „აღმართ-დაღმართი" და „ნაკრძალი" სწორედ იმითაა საინტერესო, რომ მათში მხატვრული დამაჯერებლობითაა ასახული ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მეშჩანურ-ბიუროკრატიული ცხოვრების სურათები. დამაჯერებლადაა-მეთქი მოთხრობილი, ვწერ, მაგრამ სულის შემხუთავია ეს დამაჯერებელი სურათები. ზოგჯერ არ გინდა დაიჯერო, მაგრამ გჯერა, მწერალი გაჯერებს; გაჯერებს, რადგან ამ რომანებიდან მუდმივად ანათებს მწერლის მართალი სახე, მისი შეჭმუხნულ-შეწუხებული, მზრუნველი მზერა; შეწუხებული, რადგან მას თავისი ხალხის, თავისი ერისა და ქვეყნის ბედ-იღბალი აფიქრებს უპირველესად და თუკი რამ ამ მშობლიურ ნიადაგზე უღირსად მოჩანს, ყველაზე მეტად სწორედ მწერალია ამის გამო შეწუხებული. ეს რომანებიც წუხილიდან არიან ამოზრდილი, ოთარ ჩხეიძის მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით არიან ნასაზრდოები. მოყვარის თვალი იმზირება ყოველი გვერდიდან, ეს თვალი ხან ცრემლსა მალავს და ხან კი გაბრწყინებულია სიხარულით. როცა სასიხარულოსა და ჯანსაღს დაინახავს. ეს თვალი დაჰყვება რომანების გმირებს, მათს ცხოვრებას, მათს ყოველ ნაბიჯს. დაჰყვება პირუთვნელი და მოუსყიდველი. არსად ტენდენციურობას არ იჩენს. მოქმედების განვითარების ლოგიკა მკაცრია და შეუვალი. აქ ცხოვრებაა და ცხოვრებას სენტიმენტალიზმი არ უყვარს. მას თავისი მკაცრი კანონები განაპირობებს და მწერალი თითქოს იძულებულია გმირთა ცხოვრებას იმ ჩახლართულ ლაბირინთებში ჩაჰყვეს, სანამ საბოლოოდ გაიხსნება, საბოლოოდ გაიშიშვლდება მათი ნამდვილი სახე.

აი, ეთერი, მთავარი გმირი რომანისა „ბურუსი", სოფლის ინტელიგენტის ოჯახში აღზრდილი უმშვენიერესი გოგონა, ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი, ახალსკოლადამთავრებული, უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი; გოგონა, რომლის არსებაც მხოლოდ სპეტაკი ოცნებებითაა აღსავსე. ეთერი თავისი დეიდის, ქალბატონ სალომეს ოჯახში ცხოვრობს. სალომეს მეუღლე აპოლონ კორკოტაძე საზოგადოებრივი იერარქიის საკმაოდ მაღალი კიბიდან დაცურებული პიროვნებაა. და აპოლონ კორკოტაძის კვლავ იმ მაღალ კიბეზე ასვლის მზაკვრულ მიზანს ეწირება მსხვერპლად ეთერის მთელი ცხოვრება. სალომეს თაოსნობით მთელი ეს ფარსი ეთერზე, მის მომავალზე ზრუნვის ყალბი იარლიყით სრულდება. საბრალო, მიამიტი, გამოუცდელი გოგონა სათამაშო თოჯინად ქცეულა სალომეს ხელში. სალომეს გეგმის თანახმად ეთერი ცოლად მიჰყვება ლევან ქურდოვანიძეს, ფიზიკურად და სულიერად მახინჯ პიროვნებას. სალომეს მიზნები თანდათან ნათელი ხდება. ლევანი დეიდაშვილია არჩილ ალავაძისა, პიროვნებისა, რომელსაც ძალუძს აპოლონ კორკოტაძე კვლავ აათაიროს იმ კიბის მაღალ საფეხურზე. ელვის უსწრაფესად ვითარდება მოვლენები. ეთერი გონს მხოლოდ მაშინღა მოდის, როცა უკვე ყველაფერი გვიანაა. დაკარგა სასურველი, ნიჭიერი და პატიოსანი საქმრო აკაკი ცისკარიშვილი. დაკარგა ის, ვისთან ყოფნაც ბედნიერებას მოუტანდა, და ხელთ შერჩა გონჯი, უნიჭო, უსინდისო კარიერისტი ლევან ქურდოვანიძე. დიდი მხატვრული სიმართლით გვიხატავს მწერალი ეთერის ცხოვრების ამ უკუღმა ტრიალს. თითქოს რაღაცა მძლავრი ბორბალი ბრუნავს და ეთერს თავის ნებაზე მიაქანებს. იგი თუმცა შინაგანად წინააღმდეგია იმისა, რაც მის თავს ხდება, მაინც აღარ შეუძლია წინააღმდეგობა, აღარ შეუძლია ამ ერთხელ აბრუნებული ბორბლის შეჩერება, ბორბლისა, რომელსაც სალომეს, დეიდამისის ძლიერი ხელი ატრიალებს. ალავაძეთა და ქურდოვანიძეთა დინასტიის ბოროტება მარტო ის როდი გახლავთ, რომ ეთერს, ამ უმშვენიერეს ქალიშვილს, თითქმის ძალათი, უსინდისოდ ისაკუთრებენ. არა, მათი მიზნები გაცილებით უფრო საშიშია, ისინი ებრძვიან საზოგადოებრივად სწორ, მართალ პოზიციას. გალაღებული უვიცობა წალეკვით ემუქრება იმას, რაც მოწინავე მეცნიერულ აზრს დიდი ძიების წყალობით დაუმკვიდრებია. სწორედ აკაკი ცისკარიშვილი, ახალგაზრდა ნიჭიერი ასპირანტი აღუდგება წინ ლევან ქურდოვანიძეს და სამეცნიერო სესიაზე საჯაროდ ამხელს მის დემაგოგიურ ბრალდებებს. ამ საჯარო სესიას ეთერიც ესწრება და როდესაც აკაკი ცისკარიშვილი სესიიდან გამოდის, იგი თავისდაუნებურად აედევნება აკაკის. მასში იღვიძებს ის ძველი, გაუმხელელი და მთვლემარე სიყვარული, ეს გრძნობა მიაქანებს აკაკისაკენ და მათი შეხვედრის სცენა დათოვლილი, რომანტიკული ღამის ფონზე ერთ-ერთი უძლიერესი პასაჟია რომანისა. მკითხველი მოელის, რომ აი, შეერთდება ორი ერთმანეთისათვის გაჩენილი, მაგრამ გარემოებათა გამო დაშორებული ახალგაზრდის გზები და ამ ცივი, თოვლიანი ღამის პეიზაჟი მათი გიზგიზა სიყვარულით განათდება. მაგრამ... აქ უმჯობესია პატარა ამონაწერი მოვიყვანოთ რომანიდან: „...ხელები გაიწოდა, გაიწია ვაჟის ხელებმაც, მკლავები შეჰგუფდნენ თუ ოდნავ გადაექანენ ერთიმეორისა, ასე შეცურდნენ, თავისთავად, უნებლიეთა. სულ მცირე ადგილი დარჩა მკერდთა შორის. სულ მცირე, თითქოს ერთიმეორის გულისცემაც ესმოდათ... მაგრამ დაირხა, თოვლი მოსწყდა დამძიმებულ ტოტსა და გადაეყარა ორივეს, ჩაეფინა გულთა შორისა, აღგზნებულ გულთა შორის"... ეს ხის ტოტიდან შემთხვევით „გულთა შორის" ჩამოყრილი თოვლი დიდი მწერლური ოსტატობით მიგნებული დეტალია, რომელიც სიმბოლურად მიგვანიშნებს ამბის ლოგიკურ გაგრძელებაზე. აკაკისა და ეთერის გაწყვეტილი ურთიერთობა არ შეიძლებოდა ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად სასიკეთოდ შემობრუნებულიყო. არ შეიძლებოდა აკაკის, ამ გრძნობითა და ამავე დროს საღი ანალიზის უნარით დაჯილდოებულ პიროვნებას, ასე ერთბაშად დაევიწყებინა, ასე ნაუცბათევად დაეძლია შეურაცხყოფის ის მტანჯველი გრძნობა, ეთერის გათხოვებამ რომ მიაყენა. ამ დეტალით კიდევ ერთხელ კრისტალდება აკაკის ძლიერი, ამაყი ხასიათი, სულიერი ძალა ჭაბუკისა, რომელსაც შეუძლია იყოს მბრძანებელი თავისი გრძნობისა, რომელსაც შეუძლია იყოს დამცველი თავისი შინაგანი ღირსებისა, ჩვენ აღარ ვიცით, რა მოხდება შემდეგ. შეიძლება მათი ურთიერთობა მომავალში გაგრძელდეს. მაგრამ ამას დრო სჭირდება, ეთერისაგან თავისივე საქციელის ანალიზი. თავის გრძნობაში კარგად გარკვევა სჭირდება და ალბათ ამიტომ, მწერალი რომანის დასასრულს ეთერს თავისი მშობლიური სოფლის, ორბისის გზას გაუყენებს, რათა იქ, ბავშვობის საყვარელ ადგილებში იფიქროს, აწონ-დაწონოს მომხდარი და ახლა უკვე საკუთარი გულის კარნახით აირჩიოს მომავლის სავალი.

მთავრდება რომანი. მთავრდება ალავაძეთა, ქურდოვანიძეთა, კორკოტაძეთა დინასტიის მეუფების არცთუ ხანმოკლე პერიოდი. როგორც იტყვიან, „ბოროტსა სძლია კეთილმა", ბურუსი გაიფანტა. მაგრამ ყველაფერი ეს ისე ადვილად არ მომხდარა, კეთილ ზღაპრებსა და ბულვარულ რომანებში რომ ხდება ხოლმე. ჩვენს თვალწინ ჩაიარა ცხოვრებამ, ადამიანური ვნებებით აღსავსე ხასიათებმა, ბეწვის ხიდზე მიმავალმა სიმართლემ მაინც ბოლომდის გააღწია, სანთელ-საკმელმა გზა არ დაკარგა, მაგრამ ეთერს გულში დარჩა მოუშუშებელი ჭრილობა, ჭრილობა, რომელმაც უკვე მთელი მომავლის გზა-სავალი უნდა გაუნათოს. ეს ჭრილობა მკითხველსაც აწუხებს, აწუხებს, რადგან ეთერი მარტო არაა. ის, რაც მას გადახდა თავს, ტიპიურია, მისი ისტორია ბევრის ისტორიაა. მწერალმა გზა მიგვანიშნა, მწერალმა გვითხრა, რომ არ შეიძლება ოჯახი ანგარებას ემყარებოდეს, არ შეიძლება ჩვენი ქალიშვილები თხოვდებოდნენ და ვაჟიშვილები ცოლებს ირთავდნენ არა სიყვარულის, არამედ ანგარიშის, საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. არ შეიძლება, რადგან ოჯახი საძირკველია ერისა, და თუ საძირკველი მყარი არ იქნა, ერის შენობის მაღალი კედლები დაიბზარება, ჩამოიშლება, ზნეობა გადაგვარდება, პატიოსნება გაიყიდება, სიყვარული ლაფში მოისვრება, ბედნიერება თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება და საბოლოო ჯამში სიცოცხლესაც აზრი დაეკარგება, რადგან სიცოცხლის აზრი არ შეიძლება იყოს ადამიანთა ანგარებაზე აშენებული ურთიერთობა. სხვაც ბევრი რამ საგულისხმო გვითხრა მწერალმა ამ რომანში, მაგრამ ყველაფერს როგორ ჩამოვთვლი. ამას ისევ და ისევ რომანის წაკითხვა სჭირდება.

რომანში „აღმართ-დაღმართი" გადმოცემულია ამბავი სოფლიდან ქალაქად ჩამოხეტებული ერთი ყმაწვილისა. ლენტო ჰქვია ამ ბიჭს. გვარსაც არ აკონკრეტებს ავტორი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს ერთი ლენტო კი არაა, ბევრი მისნაირი ლენტო დაიარება თბილისის ქუჩებში. მწერალს აინტერესებს სულიერი ბიოგრაფია ლენტოსი: ვინაა იგი, რატომ ჩამოვიდა ამ ქალაქში, რას აკეთებს, რა გზას დასდგომია, როგორია მისი პერსპექტივა, როგორ წრეში მოხვდა და რანაირი პიროვნება ყალიბდება. აი კითხვები, რომლებზეც ლენტოს თავგადასავალი გვაცემს პასუხს. ლენტოს ცხოვრების გაცნობისას თბილისსაც გავეცნობით, გავეცნობით, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ, გავეცნობით იმ თბილისს, იმ საზოგადოებას, რომელშიც ლენტო ტრიალებს. ლენტოს კი გარემოებათა გამო საკმაოდ ბნელ ხალხში უხდება ცხოვრება. განათლება არა აქვს, საშუალოც არ დაუმთავრებია, ისე გამოიქცა თბილისში ბედის საძებნად. დიდხანს უსაქმოდ იყიალა, მამამისის ნაჭირნახულევი გროშებით ირჩინა თავი და ბოლოს, როგორც ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთი გაქნილი საქმოსნის ხელში აღმოჩნდა, რაღაცა ფოტო-ატელიეში თუ ხმის ჩამწერ სტუდიაში დაიწყო მუშაობა.

ამ სტუდიის გამგე, მეტსახელად „ბულდოგი", ლენტოს იმდენ ფულს კი აძლევს, რომ შეძლოს ხანდახან რესტორნებში შევლა, მეგობრების ჭიქა ღვინოზე დაპატიჟება. სახლი არა აქვს და კარი, ატელიე-სტუდიაში უდგას საწოლი, იქვე იძინებს და იქვე მუშაობს. ლენტო ვერ ეწყობა თავის უფროსს. ესაა წინააღმდეგობა შინაგანად პატიოსანი ბიჭისა, რომელმაც იმდენი კი იცის, რომ ატყუებენ, თითქმის მუქთად ამუშავებენ, მაგრამ ის ვეღარ მოუხერხებია, თავი დაიძვრინოს ამ დამამცირებელი მდგომარეობიდან. „ბულდოგი" გამოცდილი გაიძვერა, თაღლითი საქმოსანია, რომლისთვისაც არაფერია წმიდათაწმიდა, გარდა ფულის მოგებისა. მათი ურთიერთობა აშკარა მტრობაში გადაიზრდება. სძულთ ერთმანეთი და ერთად კი არიან. ერთს წასასვლელი არსადა აქვს, მეორეს მუქთი მუშახელის დაკარგვა ენანება. ლენტო იმდენს ვერა ხვდება, რომ ამასხარავებენ, თავიანთ ნება-სურვილზე ათამაშებენ. ერთ დღეს კი, როცა „ბულდოგი" დაჭერის საფრთხის წინაშე დგება, ლენტოს გამგედ აფორმებენ, ხოლო „ბულდოგს" — მის მოადგილედ. როცა ლენტო ყველაფერს მიხვდა, უკვე გვიან იყო. მოვიდა რევიზია. ჩაუჭდნენ და ლენტო კინაღამ ვირის აბანოში მიაბრძანეს. ისევ „ბულდოგი" დაიხსნის, რადგან იშინია, რომ ლენტო მის ბნელ საქმეებს გაამჟღავნებს.

მწერალი პლასტიკური შტრიხებით ძერწავს ლენტოს ხასიათს. მოქმედება მოქმედებას ენაცვლება. ლენტოს ბევრი კარგი თვისება აქვს: ხელგაშლილია, ფულის შეგროვების ვაჭრული სული მასში ვერ გაუღვივებია თვით „ბულდოგთან" სიახლოვესაც. ფულს იმიტომ შოულობს, რომ დახარჯოს. ფანატიკურად ერთგულია თავისი ბავშვობის სიყვარულისა.

და ეს ძე შეცდომილი, ასე უგზოუკვლოდ მოყიალე ჭაბუკი, როცა მამის დასაკრძალავად ჩადის სოფელში, საბოლოოდ ყალიბდება პიროვნებად, რომელმაც უკვე იგრძნო პასუხისმგებლობა თავისი ობლად დარჩენილი და-ძმების მიმართ. ვხედავთ ლენტოს, ღრმად დაფიქრებულსა და დაძაბულს. ესაა ფიქრი მომავალზე, უმწეო და-ძმებზე ფიქრი. ესაა ფიქრი მამაკაცისა, ვინც მძიმე უღელს შეუდგა ქედი. მკითხველს სჯერა, რომ ლენტო ამ უღელს ღირსეულად გასწევს. ცდუნებათა, სულისწამწყმედის საშიში პერიოდი მან ისე გაიარა, რომ ბიწი არ მოსცხებია. ახლა უკვე ეს საშიშროება გავლილია. წინ ცხოვრების მძიმე გზაა, მაგრამ ვაჟკაცობა სწორედ ამ მძიმე გზაზე პატიოსნად სიარულია და ლენტოც ამ გზით მიემართება. ავტორი, თითქოს უნდა კიდევ ერთხელ დაარწმუნოსო მკითხველი, ბოლოთქმაში დაუმატებს: „ლენტო არ მეგულებოდა ასეთადა; ისეთი ფიცხი გახლდათ, თან ისე ამყოლი, ისე ახირებულიცა, მალე მოექცეოდა ცუდი ზეგავლენის ქვეშა, ასე მეგონა... გაუძლო პირველ დიდ შეჭიდებას ცხოვრებასთანა, გაუძლო დიდ ალმართსაცა და დიდ დაღმართსაცა, გაუძლო სწორედ პატიოსნებითა, გაუძლო და იმედია კიდევაც გაუძლებს..."

მკითხველიც ამ იმედით ამთავრებს რომანს. ლენტოს სახე ერთ-ერთი ტიპიური, საყურადღებო სახეა უახლესი ქართული მწერლობისა. ტიპიური, რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვით, უმრავლესობა სოფლიდან დაძრული ჩვენი ახალგაზრდობისა სწორედ პატიოსნების საგზლით მოდის ქალაქად და ბავშვობის საგზალი ხომ მთელი ცხოვრება მიჰყვება ადამიანს.

„ნაკრძალი" თავისი პრობლემატიკით უფრო „ბურუსს" უახლოვდება, ერთგვარი გაგრძელებაა თითქოს „ბურუსისა", მოქმედი გმირებიც პირდაპირ თავისი გვარითა და სახელით გადმოსულან ამ რომანში — სალომე და აპოლონ კორკოტაძეები, მათი ასული ლანა კორკოტაძე, ლანას „ბურუსში" ვერ ვეცნობით, მაგრამ მაშინ მწერალს სულ სხვა მიზანი ჰქონდა, სოფლიდან ჩამოსული, სხვა გარემოში აღზრდილი ეთერის სულიერი ბიოგრაფია აინტერესებდა. ამ რომანში უკვე სხვა ტიპები გამოდიან ასპარეზზე. ესენია ლანა კორკოტაძე, ქალაქის არისტოკრატულ ოჯახში აღზრდილი ქალიშვილი, გიტო გორდაძე — გააზნაურებული მდაბიო, უნიჭო პლაგიატი, კაცი, რომლის მთელი მეცნიერული ღვაწლი და მიღწევა ისაა, რომ არცთუ შეფარული კომპილაციით, თითქმის სიტყვასიტყვით იწერს მხცოვანი უპრეტენზიო მეცნიერის სოფრომ ბრძოლის შრომებს, დადის გაჯგიმული, ცარიელი თავითა და სავსე პორტფელით. გიტო გორდაძისა და ლანა კორკოტაძის ურთიერთობის ფონზე მთელი სისავსით იხატება ამ ორი ზნეობრივად გადაგვარებული ადამიანის შემაძრწუნებელი სულიერი პორტრეტი. ქალაქგარეთ, ნაკრძალში ერთ-ერთი მორიგი გასეირნებისას გიტო გორდაძე შეაცდენს ლანას. თუმცა „შეცდენა" აქ მთლად ზუსტი ტერმინი არ გახლავთ. მოვლენათა შემდგომი განვითარებისას ვხედავთ, რომ თითქმის მთელი ეს შეცდენის სცენა ლანას წინასწარდაგეგმილი ინსცენირებით ხდება. რა ვუყოთ, თუ გიტო გორდაძე ცოლშვილიანი გახლავთ, ლანასთვის მთავარია, როგორმე გათხოვდეს, არას დაგიდევთ, რომ სხვისი უბედურების ხარჯზე უნდა ააშენოს პირადი ბედნიერება; თუმცა რა ბედნიერებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ლანასა და გიტოს ერთმანეთი კი არ უყვართ, არამედ სძულთ. სძულთ და გარემოებათა გამო მაინც ერთმანეთს მიელტვიან. ლანა უნდა გათხოვდეს, ნაკრძალში მომხდარი ინციდენტის შემდეგ უკვე ქალაქში მათს ურთიერთობაზე ხმა დაირხა და ლანა და მისი მშობლები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე გიტო გორდაძე მახეში გააბან. ამისთვის ლანამ წინასწარვე იზრუნა, იქვე, იმავე საღამოს სავადმყოფოში გაიქცა და საექიმო ექსპერტიზას დაამოწმებინა გაუპატიურების აქტი. აილი მოწმეთა ჩვენებაც და ამ საიმედო საბუთებით აღჭურვილი კორკოტაძეები გიტო გორდაძეს დაპატიმრებით ემუქრებიან; სასამართლოში აღძრავენ საქმეს. გიტო გორდაძის მთელი მცდელობა ამაოა, გარდაუვალი საფრთხის წინაშე მდგარი, იძულებულია ცოლ-შვილს გაეყაროს და ლანა კორკოტაძეზე დაქორწინდეს.

ძნელია ასე მოკლე, მშრალი საუბრით გადმოიცეს ის, რაც ამ რომანში ხდება. სახეთა მეტყველი ხატებით გადმოცემულ სურათებს მშრალი აღწერა, ცხადია, ვერ შეცვლის, მაგრამ რომანის სიუჟეტის ძირითად ხაზებზე უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. პირად ურთიერთობებში გამჟღავნებული ამორალური სახე გიტო გორდაძისა მთლიანად ვერ ხსნის მის პიროვნებას. მისი ხასიათის მთლიანობაში წარმოსადგენად მწერალი გიტო გორდაძეს პარალელურად სოფრომ ბრძოლთან ურთიერთობაში გვაცნობს. სოფრომ ბრძოლი განსახიერებაა სიკეთისა, მეცნიერული პატიოსნებისა, უანგარობის და ჩუმი, უპრეტენზიო მოღვაწისა. სწორედ სოფრომ ბრძოლის ავტორობას დაიბრძანებს გიტო გორდაძე — ახალგაზრდა, მაგრამ უნიჭო და გაქნილი კარიერისტი და როდესაც სოფრომ ბრძოლის მივიწყებული შრომები გიტო გორდაძემ საკუთარი გვარითა და სახელით გამოაქვეყნა, მოხუცმა სოფრომმა გადაწყვიტა მისი მხილება. თავმოყვარეობისა და აღშფოთების გრძნობით შეპყრობილი დადის სოფრომი კარიდან კარად, ინსტანციიდან ინსტანციამდე, მაგრამ თითქოს ყველას პირი შეუკრავს. თვალებში ნაცარს აყრიან პატიოსან მოხუცს, რაღაც მოჯადოებული წრე შეკრულა და დაბნეული, აღშფოთებული სოფრომი თითქმის სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. შეიძლება კაცმა გაიკვირვოს, არც დაიჯეროს, იფიქროს, ჩვენს თვალწინ, დღისით, მზისით როგორ შეიძლება ასეთი უსამართლობა ხდებოდესო, მაგრამ რომანში ეს ყველაფერი ისეთი სიმართლით, ისეთი ნატურალისტური ფერებითაა დახატული, სიმართლის ისეთი ილუზია იქმნება, რომ ეჭვის ნატამალიც აღარ რჩება. ვერ იპოვა სოფრომ ბრძოლმა სიმართლე. გიტო გორდაძისა და კორკოტაძეების გავლენა გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სოფრომ ბრძოლის სიმართლე. და ამ უსამართლობით თავზარდაცემულ სოფრომ ბრძოლს გული უსკდება და კვდება.

სიმბოლურია რომანის ფინალი: ორი პროცესია შეეფეთა ერთმანეთს, ერთი სამგლოვიარო, მეორე საქორწინო. სამგლოვიარო პროცესია სოფრომ ბრძოლს მიასვენებს, ხოლო საქორწინო — ლანა კორკოტაძისა და გიტო გორდაძის მაყრიონია, მცხეთიდან რომ ბრუნდება. სვეტიცხოველში დაუწერიათ ჯვარი ამ სინდისისა და ყოველგვარი რელიგიისაგან გარეცხილ ადამიანებს. მთავარი მათთვის ხომ რწმენა არაა, მთავარია მოსაჩვენებელი ცერემონიალი. და ერთი წუთით შეჩერებული კორტეჟი ნეფე-დედოფლისა იცნობს სოფრომ ბრძოლის ცხედარს. დედოფალს ორადორი ცრემლი გადმოუგორდება მისდაუნებურად, ესაა და ეს.

ფრიად საგულისხმო და მრავლისმთქმელია რომანის ბოლოთქმა: „...ცივილიზებულ საზოგადოებაში არც არავინ დაატარებს იარაღსა, მაგრამ მაინც არიან მკვლელებიცა, დახოცილებიცა, არიან მსხვერპლნი, არიან შემწირველნი და შეწირულნი, მაშ იარაღიც არის რაღაც იდუმალი, ჭიპზე რომ არ ჩამოიკიდება ხანჯალივითა, ან თეძოზე — დამბაჩასავითა, რაღაც იდუმალი თვალმიუვალი, ხელშეუხები, უსასტიკესი და უსაშველო. კვალიც არ იცის ამ იარაღმა, რადა თქმა უნდა, უხილავია, და ნამოქმედარიც უხილავია მისი, არც სისხლის სამართლის კოდექსებმა იცის საიმისო მუხლი, გამოძიებაც არ ინიშნება. და მოკვდა კაცი, რა ვუყოთ მერე, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ მაინც დღეში რამდენს მიასვენებენ და ვინ გაიგებს, თუ ვინ მოიკვდა თავისი დღითა, თუ ვინ მოუკლავთ იმა უხილავი, იმა იდუმალი იარაღითა, ვინ გაიგებს, კვალი თუ არავის ეტყობა..."

მწერლის მწარე ირონიით შეფერილი ეს სიტყვები გაისმის როგორც საზოგადოებრივი ბრალდება, როგორც დაუდუმარი, დაუძინარი ხმა და მზერა სიმართლისა, რომლის ღაღადმაც უნდა გაანათოს დაბნელებული თვალსაწიერი, უნდა გაალღვოს გულცივობის მყარი ჯავშანი და მოგვცეს ძალა სიმართლისათვის, ზნეობრიობისათვის, პატიოსანი ცხოვრებისათვის ბრძოლისა. უნდა მოგვცეს ძალა, რათა ჩვენი სულიდან და სხეულიდან ამოვკვეთოთ ყველაფერი, რაც ხელს გვიშლის ადამიანურ არსებობაში, უნდა შევძლოთ ეს, რადგან, როგორც რომანის ეპიგრაფი გვაუწყებს: „სადა ნაყოფიერებაი ბოროტთაი, მუნ უნაყოფობაი კეთილთაი".

ოთარ ჩხეიძის ეს სამი რომანი და მთელი მისი ვრცელი და მრავალფეროვანი შემოქმედება კეთილთა ნაყოფიერებისაკენ [illegible]. კარგ მთქმელს კარგი გამგონე სჭირდება, კარგ მთქმელს, ვამბობ, რადგან ოთარ ჩხეიძის ბელეტრისტული კალამი მშვენივრად დაუფლებია სიტყვიერი ხელოვნების ყველა საიდუმლოს, ცხოვრების სიღრმეებში ღრმად ჩახედული მწერლის თვალი კი ისეთ უხილავ კუთხე-კუნჭულებს სწვდება, ისეთი მოვლენები ამოაქვს სამზეოზე, მხოლოდ დიდი მწერლობის ძალისხმევას რომ ნებდება ხოლმე. ოთარ ჩხეიძის პროზის ღირსებათა წარმომჩენ დაწვრილებით ანალიზს საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს, ოღონდ მწერლის ენის თაობაზე აუცილებლად უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. არსებობს აზრი, რომ ენა ოთარ ჩხეიძის პროზისა ზედმეტად არქაიზებულია, ზედმეტად სტილიზებულია, მანერულობის ელფერი გადაჰკრავს, რაც შედარებით აძნელებს ამ საინტერესო მწერლის ფართო მკითხველთან მისვლას. ამ ენობრივ პოზიციას ზოგნი მწერალს გაუმართლებელ ახირებად უთვლიან, მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ ენაა ოთარ ჩხეიძის პროზაში საყურადღებო და მისი მწერლური ნიჭის პირველი უტყუარი დასტური. ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას მოსაზრება სამწერლო-სალიტერატურო ენის თაობაზე: „მწერალს, უპირველესად ყოვლისა, საკუთარი ენა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და, უკეთესად რომ ვსთქვათ, — მწერლის სულია, ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე"... არა მგონია ვაჟა-ფშაველას ეს დებულება გადასინჯვას საჭიროებდეს, ამ აზრის თანახმად კი ოთარ ჩხეიძის ენობრივი პოზიცია სწორი და გამართლებულია. ქართლური დიალექტის მდიდარ ლექსიკურ ბაზაზე დამყარებული მისი ნაწერების ენობრივი ქსოვილი პირველად ყურს საკმაოდ ეხამუშება, სმენის შეჩვევა სჭირდება. მერე კი თანდათანობით ვითავისებთ, თანდათან გვითრევს თავის მდინარებაში, თანდათან უკვე ბუნებრივად გვეჩვენება ეს მოძველავებული სინონიმები, ეს ოდნავ არქაული, თავისებურად აგებული ფრაზის მელოდიკა. შეიძლება ავტორს შევედავოთ, რომ იგი ზედმეტად ხშირად ხმარობს ემფატიკურ ა-ს, რადგან ეს სტილისტური ნიშანი მოქმედ გმირთა მეტყველებაშიც და ავტორისეულ ტექსტშიც თანაბრად გვხვდება, რაც აღიზიანებს მკითხველს და საბოლოო ჯამში სწორედ მკითხველთან სიახლოვეში უშლის ხელს. მაშინ, როცა ოთარ ჩხეიძეს, როგორც მწერალს, ბევრი რამ საგულისხმო აქვს მკითხველისათვის სათქმელი.

ოთარ ჩხეიძის რომანებში ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი, მტკივნეული პრობლემებია წამოჭრილი, სანიმუშოა მწერლის [illegible] პრომისო, შეურიგებელი დამოკიდებულება ყოველივე მდაბალისა და უარყოფითისადმი, რაც ერის ჯანსაღ სხეულზე ავადმყოფობის სიმპტომებად გამოფოთლილა. პუბლიცისტური სიმძაფრე ოთარ ჩხეიძის რომანებისა ის აუცილებელი თვისებაა, ურომლისოდაც თანამედროვე ქართული პროზა ვერ შეასრულებდა ერის, ხალხის ინტერესებთან თანდგომის წმიდათაწმიდა მისიას. ეს მისია, აქტიური ბრძოლა ჩვენი ხალხის მორალურ-ზნეობრივად გაჯანსაღებისათვის, სიკეთის დამკვიდრებისათვის, ყოველთვის იყო და რჩება ქართული მწერლობის მთავარ დანიშნულებად.



**გიორგი მთაწმიდელის დაბადების 970 წლისთავი**

# ვითარცა ძეგლი აღმართებული

**ელგუჯა ხინთიბიძე**

„ძალმან საქმისამან და სიტყუათა შეტყუებამან მოღვაწე ესე დიდი გჳჩუენა, ვითარცა ძეგლი აღმართებული, ვითარცა ხატი დაწერილი სახილველად თანა-წარმავალთა ამის ცხორებისათა" — ამგვარად შეაფასა გიორგი მთაწმიდლის ღვაწლი მისმა ბიოგრაფმა. და მართლაც, გიორგი მთაწმიდელი იმ იშვიათ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავიანთი საქმიანობით ქართველი ერის კულტურული პროგრესის საქმეში განუზომელი წვლილი შეიტა-

გიორგი მთაწმიდელი ათონის ლიტერატურული სკოლის ერთი უმთავრესი მოღვაწე იყო. X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართველებმა შექმნეს ძლიერი ლიტერატურული ცენტრი საბერძნეთში, ათონის მთაზე, ან როგორც ქართველები უწოდებდნენ, მთაწმიდაზე. ამ სკოლის დიდმა წარმომადგენლებმა იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა მალე გამოავლინეს განსაკუთრებული სიმდიდრე ბიზანტიური ლიტერატურისა და მიზნად დაისახეს გადმოეთარგმნათ ბერძნულიდან ყველაფერი, რაც აკლდა ქართულ მწერლობას. ქართული ლიტერატურის ისტორიაში დაიწყო ხანა — ბიზანტიური მწერლობის საფუძვლიანი ათვისებისა. მალე ამ მოძრაობას ნაციონალური მნიშვნელობა მიენიჭა. ათონის ლიტერატურული სკოლის ტრადიცია და პრინციპები ჩვენში გაგრძელდა და განვითარდა. ათონელთა საქმიანობა მძლავრად განახლდა და დაწინაურდა მცირე აზიაში — შავ მთაზე, ბულგარეთში — პეტრიწონის მონასტერში და საკუთრივ საქართველოში — გელათისა და იყალთოს აკადემიებში.

გიორგი მთაწმიდელი ათონის ლიტერატურული სკოლის ფუძემდებლის ექვთიმე მთაწმიდლის საქმის გამგრძელებელი და განმავითარებელი იყო. გიორგი დაიბადა 1009 წელს, თრიალეთში. მამამისს იაკობი ერქვა, დედას — მარიამი. იაკობსა და მარიამს ექვსი შვილი ჰყავდათ. გიორგი მესამე შვილი იყო. იგი ექვსი წლის ასაკში აღსაზრდელად ტაძრისის დედათა მონასტერში მიუბარებიათ. როდესაც გიორგი ათი წლისა გახდა, ხახულის მონასტერში გადაუყვანიათ. აქ მისი ბიძები, გიორგი მწერალი და საბა, მოღვაწეობდნენ. მალე გიორგი მწერალი გადასულა დაბა ტვარწატაფს, დიდებულის ფერსოს ჯოჯიკისძის ოჯახში სულიერ მოძღვრად. ბიძას თან წაუყვანია პატარა გიორგიც. 1022 წელს ბიზანტიის იმპერატორის ბასილის განდგომისათვის სიკვდილით დაუსჯია ფერსოს ჯოჯიკისძე, ხოლო მისი ოჯახი პატარა გიორგითურთ კონსტანტინოპოლს გაუწვევია. პატარა გიორგი მიაბარეს სასწავლებლად, როგორც მისი ბიოგრაფი ამბობს: „კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხორებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა ღმრთისმოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა". თორმეტ წელს სწავლობდა გიორგი კონსტანტინოპოლში. შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და ხახულის მონასტერში ბერად აღიკვეცა. მალე გიორგი შავ მთაზე დაემოწაფა ქართველ ბერს გიორგი შეყენებულს და სამ წელიწადს იქვე რომანაწმინდის მონასტერში ცხოვრობდა. 30 წლის ასაკში გიორგიმ იერუსალიმის წმიდა ადგილები მოილოცა და თავისი მოძღვრის შეგონებით 1040 წლისათვის ათონზე მივიდა. 1042-44 წლებში გიორგი ათონის ივერიის მონასტრის დეკანოზია, ხოლო 1044 წლიდან ამავე მონასტრის წინამძღვარი. 1056 წელს გიორგი ტოვებს წინამძღვრობას და დაემკვიდრება ანტიოქიაში. მთელი დატვირთვით მიჰყოფს ხელს ლიტერატურულ საქმიანობას. 1060 წელს გიორგი ქართველთა მეფის ბაგრატ IV-ის მოწვევით ჩამოდის საქართველოში და ეხმარება მეფეს საეკლესიო საქმეების მოწესრიგებაში. გიორგი გარდაიცვალა 1065 წელს კონსტანტინოპოლში, საქართველოდან ათონის მონასტრისაკენ გზად მიმავალი.

გიორგის დიდი წვლილი მიუძღვის სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრების რეორგანიზაციაში როგორც საკუთრივ ათონზე, ასევე მთლიანად საქართველოში. ათონზე გიორგიმ განამტკიცა ექვთიმე ათონელის შემდგომ ქართველთა მონასტრის შერყეული რეპუტაცია, კონტაქტი დაამყარა ბიზანტიის საიმპერატორო და საქართველოს სამეფო კართან, შეაკეთა მონასტერი, აღნუსხა ქართველთა ათონზე დამკვიდრებისა და მოღვაწეობის ფაქტები, შექმნა ათონის მთის ქართული კოლონიის ისტორია და აღწერა ათონის ქართული მონასტრის აღმაშენებელთა ცხოვრება. სიკვდილის წინ გიორგის საქართველოდან ათონზე მიჰყავდა 80 უდედმამო ბავშვი აღსაზრდელად და ათონის ქართველთა ძმობის განსამტკიცებლად. მოტირალ ბავშვთა სამგლოვიარო პროცესიამ ასვენა გიორგი მთაწმიდლის ცხედარი კონსტანტინოპოლიდან ათონზე.

1057 წელს ანტიოქიის საპატრიარქოში პატრიარქ თეოდოსის წინაშე გიორგიმ დაიცვა ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობა და ამავე დროს დაამტკიცა ქართველთა მაღალი ინტელექტი, განათლებულობა და სარწმუნოების სიმტკიცე. 1060-65 წლებში ქართველთა მეფე ბაგრატ IV და გიორგი მთაწმიდელმა ქართული ეკლესიის რეფორმა ჩაატარეს. დაირღვა ქართულ ეკლესიაში წოდებრივი უპირატესობის პრინციპი და დაწინაურდა ღირსეული კადრები. ქართული საეკლესიო პრაქტიკა ძველი ბიბლიური და ლიტურგიკული წიგნებიდან გადავიდა ახალ თარგმანებზე. ქართული ეკლესია ამ დღიდან დაწყებული დღემდე კანონიკურად თვლის გიორგი მთაწმიდლის თარგმნილ „ახალ აღთქმას" და „ფსალმუნებს". არსი იმ რეფორმისა, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა წამოიწყო, ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციაში მდგომარეობდა. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი განხორციელება, იქიდან ჩანს, რომ ამგვარი შინაარსის რეფორმა დასავლეთ ევროპაში XIII საუკუნეში ჩაატარა წმინდა ფრანცისკმა. გიორგი მთაწმიდლის წარმატებით დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა დავით აღმაშენებელმა. 1103 წელს დავით აღმაშენებლის მოწვეულმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ საბოლოოდ შეასხა ხორცი გიორგი მთაწმიდლის იდეას — საქართველოს ეკლესიაში წოდებრივი უპირატესობის მოსპობას და მღვდელ-მსახურთა პირადი ღირსებებით არჩევას. გიორგის ცხოვრება და შემოქმედება დეტალურად აღწერა მისმა მოწაფემ გიორგი მცირემ. გიორგი ათონელი როგორც ქართულმა, ასევე ბიზანტიურმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა.

უმთავრესი მხარე გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობაში მაინც მისი ლიტერატურული საქმიანობა იყო. გიორგი მთაწმიდლის სახელი შთამომავლობისათვის უკვდავი გახდა უპირველეს ყოვლისა სწორედ იმით, რომ იგი არის ავტორი ბრწყინვალე აგიოგრაფიული ძეგლისა — „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაი". დასახელებული თხზულება ძვირფასია, პირველ რიგში, მისი ლიტერატურული ღირსებებით. გიორგი მთაწმიდლის ლაკონური ენა, მაღალი ლიტერატურული გემოვნება, ხასიათების ხატვის ოსტატობა, კომპოზიციური მრავალფეროვნება „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას" ქართული ლიტერატურის კლასიკური ხანის ბელეტრისტიკის შედევრად ხდის. ნაწარმოები ფასდაუდებელია თავისი საისტორიო მნიშვნელობითაც. მასში ასახულია ათონის ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის დეტალური ისტორია, ქართველ-ბერძენთა პოლიტიკური ურთიერთობა X საუკუნის დამლევისათვის, ქართველი მხედრიონის ბრძოლა ბერძენთა დასახმარებლად აჯანყებული მხედართმთავრის ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ და გამარჯვება, ბერძენთა მოქმედება ათონის ქართველთა მონასტრის დასაკუთრებისათვის და ქართველთა გამოძევებისათვის.

თხზულება ძვირფასია აგრეთვე თავის ღრმად ეროვნული განწყობილებებით: ქართველთა ეროვნული თვითშეგნების წარმოჩინებით და ბერძნებთან კულტურული მეტოქეობის იდეის ლიტერატურული გაფორმებით.

გიორგი მთაწმიდელმა გააგრძელა ექვთიმე ათონელის დაწყებული საქმე — დიდი ბიზანტიური ლიტერატურის გადმოტანა ქართულ ენაზე და ამავე დროს განავითარა მისი მთარგმნელობითი პრინციპები. ექვთიმე თარგმნიდა ე. წ. კლება-შემატების მეთოდით. ამგვარად მთარგმნელობითი სტილი შეცვალა გიორგი მთაწმიდელმა. მან პირველ რიგში ბიბლიური წიგნების ზუსტი რედაქციების ჩამოყალიბებას მიაქცია ყურადღება. „ახალი აღთქმის" უძველესი ქართული თარგმანები რედაქციულად განსხვავდებოდა XI საუკუნის ბერძნული კანონიკური ტექსტებისაგან. ამიტომაც ექვთიმე მთაწმიდელმა თავიდან თარგმნა „სახარება" და „დავითნი". მაგრამ გიორგის ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდით შესრულებული თარგმანი აღარ აკმაყოფილებდა და მან ხელმეორედ თარგმნა „სახარებაც", „დავითნიც", და მთელი „ახალი აღთქმაც". მართალია გიორგი თეორიულად თითქოს იცავდა თავისუფალი თარგმანის პრინციპს და „დავითნის" საკუთარი თარგმანის ანდერძში მიუთითებდა: „ჩუენ, რომელი ჯერ იყო, ჩაგვირთავს და, რომელი ჯერ იყო, დაგვიკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოუვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდაო", მაგრამ პრაქტიკულად იგი მკვეთრად გაემიჯნა ექვთიმე ათონელის მთარგმნელობით პრაქტიკას და გარდა ბიბლიური წიგნებისა თავიდან თარგმნა ექვთიმეს მიერ ერთხელ უკვე თარგმნილი სხვა სასულიერო წიგნებიც.

შთამომავლობამ გიორგის თარგმანებს ექვთიმეს თარგმანებისაგან განსხვავებით უწოდა: „დიდი სვინაქსარი", „დიდი კურთხევანი" და მათ ანალოგიით „დიდი პარაკლიტონი", „დიდნი მარხვანი". გიორგის მიერ თარგმნილი ლიტერატურა მოიცავს საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგს. გარდა ზემოთ დასახელებული ბიბლიოლოგიური და ლიტურგიკული წიგნებისა, განსაკუთრებით პოპულარული იყო ძველ საქართველოში გიორგი ათონელის თარგმნილი ბასილ დიდის „ექუსთა დღეთაი"; „წამება წმიდა გიორგისი"; „საწინასწარმეტყველო სახელიწდო"; ს ი მ ბ ო ლ ო ნ ი ნიკია-კონსტანტინოპოლის კრებისა, გრიგოლ საკვირველთმოქმედისა, ათანასე ალექსანდრიელისა, ფოტი პატრიარქისა; „თთუენი ათორმეტნივე". ეს უკანასკნელი თავისი შედგენილობით ორიგინალური ჰიმნოგრაფიული კრებულია. მასში გაერთიანებულია სხვადასხვა ბიზანტიელი ავტორის საგალობლები ერთსა და იმავე წმინდანზე, შიგ შეტანილია ქართული მასალაც.

გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მოღვაწეობა მისმა ბიოგრაფმა გიორგი მცირემ ამგვარად შეაფასა: „ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეგევითარი თარგმანი თვინიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმესსა სხუაი არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვჰგონებ თუ არცა გამოჩინებად არს".

# სადგური



რევაზ ინანიშვილი

მოთხრობა

Вокзал, несгораемый ящик
Разлук моих, встреч и разлук.

ბ. პასტერნაკი

ლევანი ორმოცდაათი წლის იყო, ზეინაბი — ორმოცდახუთის. ოქტომბერში შეუღლდნენ — სტუდენტური სიყვარულის შემდეგ სხვადასხვა გზით მავალნი, ბოლოს ისევ ერთმანეთთან მისულნი და ერთმანეთს მინდობილნი. ახლა დეკემბერი იყო, დეკემბრის ოცდაექვსი, უკვე ხშირბინდი. მეტროს ვაგონში ისხდნენ, ზეინაბის ბებია მობრძანდებოდა კახეთიდან და იმას უნდა დახვედროდნენ ნავთლუღში. ზეინაბს ძალიან უხაროდა ლევანთან ერთად მგზავრობა.— მე რამდენჯერმე ვყოფილვარ ნათლუხის სადგურში. — ამბობდა წელში გამართული, ქალიშვილური ხალისით. — ბებო როცა ჩამოდის, სულ ნათლუხში ვხვდებით. — იცოდა, რომ „ნავთლუღი“ უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც ღიმილიანი დაგემოვნებით იმეორებდა „ნათლუხს“. — იმას ასე დავპირდებით, რომ თბილისის სადგურში დავუხვდებით, ჩვენ კი ნათლუხში ვეგებებით. ხომ მიხვდი, რატომაც? სანამ ის ღელვას დაიწყებდეს, დამხვდებიან თუ არ დამხვდებიანო, ჩვენ უკვე მასთან ვართ. თან, მოგეხსენებათ, თავადის ასული ბრძანდება და ძალიან უყვარს, გამორჩეული ყურადღებით რომ ექცევიან შინაურებიც, უცხონიც. როგორ ზის ხოლმე ვაგონში, რომ გაჩვენა! კეხიანი ცხვირი, ბრიალა თვალები, წელგამართული, ყავარჯენზე აქვს ჩამოწყობილი გრძელი თითები... მშვიდად, მოწყალებასავით იხედება აქეთ-იქით.

ლევანი გატანჯულ, გაწამებულ ყრმობაში მიჰყავდა ნავთლუღისკენ მიმავალ გზას. იქიდან ძლივსძლივობით გამონაღწევს ებრალებოდა თავისი თავი, ებრალებოდა უკვე სახეზე ფერებჩამქრალი ზეინაბიც, ყველა და ყველაფერი ქვეყანაზე, გული რაღაც მტკივნეული სიყვარულით ჰქონდა სავსე.

— შენც ეგეთი ჯდომა არ იცი? — შეჰღიმა ზეინაბს.

— არა გრცხვენია, ჩემი შატაბუტა ლაპარაკით?

— როცა გაბრაზებული ხარ.

— კაი რა!

მატარებელმა დამუხრუჭება დაიწყო.

— სამგორი. ბოლო გაჩერება. — გამოაცხადეს ვაგონში. წამოდგნენ, კარისკენ წავიდნენ, ლევანი ხელს აშველებდა ზეინაბს. მათზე ადრე სხვები იდგნენ კართან. მატარებელი გაჩერდა, გაიღო კარი, სხვები გაჩქარდნენ, ლევანი და ზეინაბი სულ ბოლოს ჩავიდნენ.

ქალაქში გასასვლელი ორმხრივ იყო. ველარ მიხვდნენ, საიდან უნდა ასულიყვნენ რკინიგზის სადგურთან.

— არ გახსოვს, საიდან ადიოდი ხოლმე? — ჰკითხა ლევანმა.

ზეინაბმა დამორცხვებით აიჩეჩა მხრები.

— მე მგონი, აქეთ.

წავიდნენ, წაიკითხეს კიბესთან დაკიდებული წარწერა.

— არა, იქით.

ფორმიანი კაცი მოდიოდა ერთი. ლევანმა იმ კაცს ჰკითხა, — რკინიგზის სადგურში როგორ უნდა ავიდეთო. კაცმა მიასწავლა:

— ეგრე, პირდაპირ და მერე მარჯვნივ.

„პირდაპირ“ წავიდნენ. ლევანს სიამოვნებდა ზეინაბის ფეხსაცმლის ქუსლების ენერგიული პაკუნი. მარჯვნივ გაუხვიეს, კიბეზე ავიდნენ და გაკვირვებულნი გაჩერდნენ. ბნელოდა ნესტიანი, ბლანტე სიბნელით. რაღაც მესერი იყო, რაღაც აყირავებულ-დაყირავებული ლოდები ეყარა. ახლომახლო არავინ ჩანდა.

ზეინაბი ლევანს მიეკრა მკლავზე.

— მე მგონი, სულაც დავიკარგეთ.

— აბა! ჯადოსნურ სამყაროში მოვხვდით. მოიცა.

ლევანმა ღონივრად მოჰკიდა ხელი, სიფრთხილით წაიყვანა. თანდათან შეეჩვია თვალი სიბნელეს. შავი ფიჭვები იყო, იმ ფიჭვებთან ორი კაცი იდგა, ერთი სიგარეტს უკიდებდა მეორის სიგარეტიდან. დაუქნია თავი და გამოეცალა. ლევანმა იმ კაცს ჰკითხა:

— თუ ძმა ხარ, სადგურის ბაქანზე როგორ უნდა ავიდეთ?

— ეგრე. — ხელი გაიშვირა კაცმა და წავიდა.

— ეხლა გამახსენდა, — თქვა ზეინაბმა, — ესა — ახალ სადგურს აშენებენ.

ბილიკი იყო სველ მიწაზე. ლევანი უკანგაწეული ხელით მიუძღოდა ზეინაბს. როგორც იყო, ავიდნენ მაღლა, ბაქანზე. შვებით მიმოიხედეს.

— ღმერთო, — თქვა ზეინაბმა.

საითაც უფრო მეტი სინათლე იყო, იქით წავიდნენ.

— რომელი საათია?

ლევანმა ძლივს გაარჩია.

— რვას ათი უკლია.

— ვაიმე, რომ წასულიყოს, გავგიჟდები. ვის უნდა ვკითხოთ?

სალაროსმაგვარი სარკმელი იყო, შიგნით ქალი იჯდა და წიგნს კითხულობდა. ლევანმა ფრთხილად შეაღო სარკმელი.

— უკაცრავად, ქალბატონო, კახეთის მატარებელი ხომ არ ჩამოსულა?

— ჯერ არა. — თავი არ აუწევია ქალს.

— ხომ ვერ მეტყვით, რამდენ ხანში მოვა?

— იგვიანებს. ოც-ოცდახუთ წუთში.

— გაგახაროთ ღმერთმა.

ქალმა ახლა კი ამოხედა და სიამოვნების ნათელი ჩაუდგა თვალებში.

ლევანისა და იმ ქალის დიალოგი ზეინაბსაც ესმოდა, მაგრამ ლევანმა მაინც თქვა:

— ოც-ოცდახუთ წუთს უნდა მოვიცადოთ კიდევ.

— აუჰ!

— რა არის? ხომ არა გცივა?

— არა, მაგრამ სად დავიცადოთ ამდენი ხანი.

— გავიაროთ, გამოვიაროთ ძველი ქართველებივით. ხომ იცი, როგორც უყვარდათ ძველ ქართველებს სადგურზე სეირნობა.

— ოო!

გაიარეს, გამოიარეს ნესტიან, უკაცრიელ ბაქანზე. ბურუსი იყო ჩამოწოლილი და ძლივს ატანდა იმ ბურუსსა და ღამის სიბნელეში თვით პროჟექტორების შუქი. ლევანი სევდიანი ღიმილით იყურებოდა აქეთ-იქით.

— რა თავისებური სილამაზისაა აქაურობა. თითქოს მარადიული იყოს ეს სიმშვიდე — ეს თანაბარ სიგანეზე წაღებული ლიანდაგები, წითელი შუქები, ფრთქლი, პროჟექტორები და მათი ანძები, შიშინი, მარტოდ მიმავალი კაცი ლიანდაგებს შორის.

ზეინაბი მკლავზე მიეჭუჭკა ლევანს.

— შეგცივდა?

— ნიავივით არის აქ, არა?

— წამოდი, სკამზე დავსხდეთ. მომყუდროებულიცა ჩანს ცოტა.

— არა, ასე მირჩევნია.

ზეინაბმა ლოყაც მიადო მხარზე.

მელაპარაკე.

— ომიანობას და უფრო ადრეც, — მაღლა იხედებოდა ლევანი, — ამ ანძების წვერებზე სულ ყვავები ისხდნენ და სულ ციოდა. აფრინდებოდა ერთი რომელიმე ყვავი, ყვაა-ყვაას ძახილით შემოივლიდა წრეს და დაჯდებოდა ისევ. ის რომ დაჯდებოდა, სხვა აფრინდებოდა. ღამითაც სულ შავად აფუყულები ისხდნენ, ეძინათ, მაგრამ ჩხავილით მაინც ჩხაოდნენ. მე დედაჩემს ვხვდებოდი ხოლმე, უფრო იმ სადგურში, ფული ღირდა მაშინ ბაქანზე გასვლა, მთელი მანეთი, ორი პონჩიკის ფასი, ამიტომ გალავანზე ვიბობღებოდი, ბნელ ხიდთან; თუ ჩამოვიდოდა დედა, ყველაფერი კარგი იყო — ის გალავანიც, წვიმაც, სიცივეც, ყვავებიც. თუ არა — საძაგელი, გამორჩევით ყვავები, თანაც ზედ თავზე თუ დაგჩხავლებდნენ... ბევრი კარგი რამ გადამხდენია ამ სადგურებში.

— მაშ რატომ არ გიყვარს?

— ვინ გითხრა, არ მიყვარსო?

— კი, კი. როგორც კი გითხარი, ნავთლუღის სადგურში უნდა წაგიყვანო-მეთქი (ამჯერად სწორად თქვა ზეინაბმა „ნავთლუღი“), მაშინვე ცუდ გუნებაზე დადექი.

— ცუდ გუნებაზე არა.

— აბა?

ლევანმა სხვა რამ წამოიწყო, ისევ ღიმილით.

— ერთხელ რამდენიმე ფული ვიპოვე. აი, ასე, ლიანდაგის გაყოლებით, ხუთმანეთიანები, სამმანეთიანები. მანეთიანები, ორმოცდაშვიდი მანეთი. თითქოს სიზმარში. მერე. მართლაც სიზმარშიც ვპოულობდი ხოლმე, თანაც ბევრს. სულ მახსოვს. როგორი თოვლითაც იყო მაშინ წაფერფლილი ეს მაზუთიანი ხრეში და შპალები.

— რა იყიდე იმ ფულით?

— ჩემ დას მივეცი. მარტო ორი მანეთი დავიტოვე ჩემთვის, დანარჩენი ჩემ დას მივეცი. იმან კარტოფილი იყიდა.

— კეთილო კეთილო. კეთილო

ლევანმა უკმაყოფილოდ შეჰმუხნა სახე.

— შენ ხომ არა გცივა? — შეშფოთდა ზეინაბი.

— საიდან მოიტანე?

ზეინაბმა თათმანი წაიძრო და ჯიბეში ჩაუყო ხელი.

— თითები თბილი გაქვს.

— გული — ცივი.

— არა. გული უფრო თბილი. მაინც წავიდეთ და დავსხდეთ. რამდენი წუთი გავიდა?

ლევანმა ჯიბიდან ხელი ამოსწია, ზეინაბმა დახედა საათს.

— ჯერ რვიდან ორი წუთია გადასული.

წავიდნენ, კუთხეში მიდგმულ გრძელ სკამზე დასხდნენ, ერთმანეთს მოუმყუდროეს.

— კიდევ მომიყევი რამე.

— ამ სადგურს ხის მესერი ჰქონდა, ერთმანეთს ასე ოთხი თითის მანძილზე დაშორიშორებული წვეტიანი ფიცრების მესერი. ომის დროს დღე-ღამეში ერთადერთი მატარებელი გადიოდა კახეთისკენ და ისიც აქედან, ისიც ღამის პირველ საათზე თუ ორის ნახევარზე.

— ეგ მეც მახსოვს.

— შენ პატარა იქნებოდი მაშინ. შენ უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებდი იმ ამბებში. თან ის ერთადერთი მატარებელი დადიოდა, თან საშვსაც თხოულობდნენ. მე კიდევ საქარხნო სკოლაში ვსწავლობდი. მე იქ ვსწავლობდი, ჩემი და — ტექნიკუმში, დედაჩემი სოფელში იყო, მშობლებთან, იქ მუშაობდა პურის გულისთვის. კვირაობით ან მე მივდიოდი სოფელში, ან დედა ჩამოდიოდა ჩვენთან. უფრო ხშირად მე მივდიოდი.

ბილეთს ჩვენ ვინ მოგვაშავებდა, ბიჭბუჭობას, ჩვენი ან კიბეები იყო, ან ვაგონების სახურავები. იქამდე მიღწევაც ჭირდა. მილიცია და სამხედროები იცავდნენ მატარებელს. გასვლას ნახევარი საათიც აღარ უკლდა ხოლმე, რომ მაშინ ჩამოაყენებდნენ — ფარ[illegible], მინებჩამოღებულს. იხუვლებდა უბილეთო ხალხი, მიეს[illegible] მესერს. იყო ყვირილი: დაიწი უკან! გესვრი! — ვის შ[illegible] ძახილით. ყველა უკიდურესი გაჭირვებისგან იყო აწ[illegible]. ერთს რომ ხელს სტაცებდნენ, მეორენი გაურბოდნენ [illegible]ვით სიბნელეში.

ერთხელ მეც გადავდივარ ამ მესერზე და ჩამეჭიდა შიგ ფეხსაცმელი, დიდი სალდათური ბათინკა. მორბიან მილიციელები, ვიღაცას ეძიძგილავებიან, ჩემსკენ მოათრევენ, ახლა მე უნდა მტაცონ ხელი. — დადექ! დადექ! — ყვირიან. მე კიდევ ვეღარ ვაძრობ ბათინკას. გავკარი ხელი თასმას, გავწყვიტე, ფეხი ამოვიღე ბათინკიდან და მიდი — ცალფეხშიშველი, დამდნარ თოვლში, წუმპეებში, ტალახში! თან იმის შიში მაქვს — ბათინკა რომ დაინახოს ვინმემ და წაიღოს! ნუ გეშინია, არავის დაუნახავს. რომ გასცილდნენ მილიციელები იქაურობას, — აქვე იყო, აი, ორი ბოძი რომ ჩანს ერთად, დაახლოებით მაგ ბოძებთან, — მივვარდი მესერთან ასკინკილა, კელაობით, ამოვაძვრე ჩემი ბათინკა და ვტუცე ის სველი, ტალახიანი ფეხი პირდაპირ. მერე ვიჯექი ვაგონის სახურავზე და მიბერავდა, მეალერსებოდა თებერვლის ღამის ნიავი.

ზეინაბი თითქოს არც კი სუნთქავდა.

— ერთხელ კიდევ — მაღალი სიცხე მაქვს, ზეზეურად მაბოდებს, მაინც მივდივარ, პირდაპირ ქარხნიდან აქ ამოსული. ამინდია — თოვლი. წვიმა, ქარი, ყველა ოხრობა ერთად. ვერც ვაგონის სახურავზე ავალ, ვერც კიბეს დავეკიდები. შევიჭყუნე ვაგონში. რევიზორები, რა. განა ისინი ადამიანები არ არიან, — ვფიქრობ, — მნახავენ, ასეთ დღეში რომ ვარ და დამეხსნებიან. ერთ ხანს ვაგონის კედელსა ვარ აკრული, მერე ჩავიკრიფე. თვითონ ვერ გავრკვეულვარ, მძინავს თუ მღვიძავს, ხნიერი ქალი მადებს შუბლზე ხელს და ისა წუწუნებს: ვაიმე, შენს დედას, შვილოო. დაიწყო უბილეთო ხალხმა ჩოჩქოლი, გადადიან ერთმანეთზე, — რევიზორი, რევიზორიო. მე ადგილიდან არ ვიძვრი, მოხდეს, რაც მოსახდენია-მეთქი. მოვიდნენ, რევიზორიც არის და ორიც სამხედრო, თუ მილიციელი. რევიზორი რომ ბილეთსა სინჯავს. ისინი საშვებს ამოწმებენ. ფარნები უკავიათ — ცალი მხრიდან გამოდის სინათლე ვიწროდ. მომაშუქეს სახეში,— შენი ბილეთიო! არაფერს ვამბობ. უფრო სწორად, ვერაფერს ვამბობ. — ეგო ავად არისო, პატივცემულოო, — მოხუცი ქალი ეუბნება, — არაფერი ესმისო. ჩამჭიდა ხელი მხარში რევიზორმა, დამაყენა ფეხზე, გამილაწუნა ყბაში — გამოფხიზლდებაო. მართლა გამოვფხიზლდი. არა გაქვს ბილეთიო? — არა-მეთქი, გავიქნიე თავი. ისევ გამიჭახუნა ყბაში, — წადი წინაო. წამიგდო წინ. — ნამდვილად ავად არისო, — ეუბნებიან სხვებიც. — რო ჩავაყუდებთ, რო წაუსვამთ ქლიბს, როგორც საჭიროა, გაუვლის ყველაფერიო. მე ისევ რაღაც ტკბილ ბურანში ვარ. კი არა მტკივა ის სილაქები, პირიქით, მსიამოვნებს კიდეც.

ვარ მოქცეული იმ რევიზორსა და მილიციელების შუაში. გასინჯავენ ბილეთებსა და საშვებს ერთ კუპეში, წამიგდებენ წინ, მეორეში. ამასობაში კი თანდათან მესმის, მატარებელმა ხმა შეიცვალა, უმატა და უმატა სიჩქარეს დაღმართში. ხმით ვცნობ — ჩვენი ბაქნისკენ დავეშვით. სილაქები რა არის, თუ ჩვენს ბაქანს გამაცილეს, ავი მოსახდენი მაშინ მოხდება! და გიჟური რამ გადავწყვიტე, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭები რომ ბედავენ ხოლმე მარტო. კუპეებს შორის გაქცევა უაზრობა იყო, ადვილად დამიჭერდნენ. რომ მიაბრუნეს ცალ მხარეს ფარნები, მივიწიე ბნელი ფანჯრისკენ, რაღაცებზე შევდექი. რაღაცებს მოვეჭიდე და, ქალების ყვირილში, იმ ფანჯარაში გადავძვერი, ხელებით ჩავეკიდე. სულ რამდენიმე წუთი, სულ რამდენიმე წუთი, შეანელებს მატარებელი სვლას და მერე გაჩერდება კიდეც. მაგრამ რა ქნა იმ უღმერთო რევიზორმა, იცი? დამიწყო ხელებში ფარნის ძირით ცემა. ძირი კიდევ დანასავითა აქვს იმ ფარანს.

— ყველაფერი მტკივა. ლევან.

ლევანს გაეცინა.

— რა იყო, ხომ ხედავ, ცოცხალი ვარ და მთელი.

— ხალხი არ იყო? ადამიანები არ იყვნენ?

— იყვნენ, როგორ არ იყვნენ, მაგრამ მე იმათ ვერ ვხედავდი. მხოლოდ ის მოვახერხე, რომ სახეში შევაფურთხე რევიზორს. მერე მატარებელმაც შეანელა სვლა და მეც გავუშვი ხელები ფანჯრის ჩარჩოს. ერთი ეს ვიგრძენი, როგორი შხრიალით დავცურდი დაფერდებულ ხრეშზე, მერე, თვალი რომ გავახილე, აღარც მატარებელი ჩანდა, აღარც მატარებლიდან ბაქანზე ჩამოსული ხალხი. თოვლიან მიწაზე ვიჯექი, ფარლალალა ველში, ცივი ნიავი ზუზუნებდა მავთულებზე და, თოვლიან ღამეში რომ იცის ხოლმე რაღაცნაირი თალხი შუქი, იმ თალხ შუქში, მომეჩვენა თუ მართლა იყო, რაღაც შავი ოთხფეხი იდგა ჩემს ახლოს და, რომ წამოვიწიე, გაქრა.

ზეინაბი უცებ დაიხარა და თითებზე აკოცა ლევანს.

— რასა ბავშვობ! — გაიწია ლევანმა.

ზეინაბი გაშტერებული უყურებდა.

— ეი, ე! — შეატყუა ლევანმა.

— რატომ არასოდეს გიამბია ეგენი ჩემთვის?

— კარგი ერთი! ყოველ დროს და ყოველ ადამიანს თავისი საკმარისი სატკივარი და საჩივარი აქვს, ჩვენი ძველმანების დამატება სჭირდება კიდევ? მე იმასაც კი ვერ ვიტან, სილარიბეგამოვლილები რომ ამუნათებენ მატერიალურად უზრუნველყოფილებს: ჩვენ სულ სხვანაირები ვიყავითო. რაც ეხლა ვილაპარაკე, ეგეც სადგურის ბრალია. სადგურმა იცის ამგვარი მოგონებების აშლა.

მატარებელი კი უკვე ახლოვდებოდა, დიდი ბრდღვიალა ნათურით მოანათებდა და ის ნათელი იზრდებოდა და იზრდებოდა. მათ გარდა თურმე რამდენიმე სხვა დამხვდურიც ელოდა. ბლომად ხალხი ჩამოვიდა, მხოლოდ ლევანი და ზეინაბი ავიდნენ მაღლა.

ბებია მართლაც წელში გაშლილი, თავაწეული, თვალებდადიდებული იჯდა. მაგრამ ზეინაბს ეშლებოდა — ბებიას უკვე შიში და დაფეთება ედგა თვალებში. ამ ოთხმოცი წლის დედაბერსაც თავისი სატკივარი და საჩივარი ჰქონდა. მაინც ილიმებოდა.

ახალ წელს გვილოცავენ:

დადგა ახალი, 1980 წელი. [illegible] წელიწადს უფრო მეტი [illegible] და მეტი წარმატებები უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა. ამ მხრივ არც 1979 წელი ყოფილა გამონაკლისი. ჩვენმა ხალხმა კვლავაც იზეიმა წარმატებები... თავიანთი მოვალეობა პირნათლად მოიხადეს ჩვენმა სახელოვანმა მევენახეებმა, მეჩაიეებმა, ქარხნისა თუ ფაბრიკის მუშებმა, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებმა. კონკრეტულად ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთია ცხადი, ქალი თუ კაცი, ახალგაზრდა თუ ჭარმაგი, მშრომელი თუ ინტელიგენტი — ყველა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და ცხოვრების გაუმჯობესებაში.

ქართველი ხალხი — მშრომელი, მებრძოლი, მშვიდობის მოყვარული, ყველგან მოყვასის მძებნელი, ინტერნაციონალისტი — მთელი თავისი დიდი ისტორიის მანძილზე თავგამოდებით იცავდა თავის ქვეყანას, თავის კულტურის მონაპოვარს, რწმენას და ენას, არ უდრკებოდა არცრანაირ მტერს, როგორი საშიში და მრავალიც არ უნდა ყოფილიყო იგი, და აკი დღემდე დიდებით მოიტანა თავისი ქვეყანა. ჩემი ხალხი დღესაც ინახავს ყველა ამ კეთილ თვისებას, რაც მისი დღევანდელი წარმატებების მიზეზიცაა და ხვალინდელი წინსვლის საწინდარიც.

რას ვუსურვებ ჩემს ქვეყანასა და ჩემს ხალხს ახალ, 1980 წელს? ვუსურვებ, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობას, მშვიდობიან შრომას და შენებას, გამრავლებას, ვუსურვებ ბევრ ახალ კეთილ წამოწყებას, ბევრ ახალ კარგ წიგნს, ბევრ ახალ კარგ მუსიკალურ ნაწარმოებს, კარგ თეატრალურ დადგმებს, მხატვრულ ფილმებს, სპორტულ მიღწევებს, რომელნიც შეიძლებენ საქართველოს სახელის საქვეყნოდ გატანას და ჩემი პატარა ქვეყნისა და მისი ნიჭიერი ხალხის წარსულითა და აწმყოთი მოწინავე კაცობრიობის დაინტერესებას.

გილოცავთ ახალ წელს, ჩემო მშობლიურო ხალხო, დაესწარი მრავალს უფრო დიდი სიხარულითა და წარმატებებით.

დემნა შენგელაია

●

აჰა, მეოცე საუკუნის მეოთხმოცე წელიც დადგა. კიდევ ერთი წლით დაჭარმავდა კაცობრიობა — ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი.

ოთხმოციოდე ახალი წელიწადის მომსწრე მაინც ვარ. ადამიანის ცხოვრების კვალობაზე ოთხმოცი წელი არცთუ ძალიან ბევრია, მაგრამ არც ცოტა არის ძალიან — ყოველ შემთხვევაში, კაცს ეყოფა დასაჭარმავებლად.

ვინ იცის, რამდენნაირი ახალი წელიწადი დასდგომია ამ ოთხმოცი წლის მანძილზე ჩემს ქვეყანასა და ჩემს ხალხს, — ზოგჯერ იმედიანი და სიხარულიანი, ზოგჯერ ნაღველგამორეული და მკაცრი, მაგრამ ახალი წელი რის ახალი წელია, რომ წინ იმედითა და უკეთესის რწმენის თვალით არ გაეხედა. ნურასოდეს ნურც დაკარგოდეს ადამიანს უკეთესის იმედი.

ქართველი კაცი საახალწლოდ თვალს მოავლებს გავლილ წელს, ყველაფერს თავისას მიუზღავს — კარგს ქებით მოიხსენიებს, ცუდს წარსულს ჩააბარებს, კარზე მომდგარ ახალ წელს კი იმედითა და სიხარულით ეგებება, ყველაზე დიდი ბედნიერების, ულევი დოვლათის, ადუსხებელი სიხარულის მომტანად ესახება იგი. თუმცა ისეც ყოფილა, ერის მოჭირნახულეს ზედ ახალი წლის მიჯნაზე დაუწერია „რა გითხრათ, რით გაგახაროთო“ და თავისი ხალხისათვის მოურიდებლად, მაგრამ დიდი გულისტკივილით უთქვამს მწარე სიმართლე. საახალწლოდ თავის სიტყვას ხალხური მელექსეც იტყოდა: „ახალ წელიწადს, წლისთავსა გიკვლევ ვაზისა რქითამცაო“, მერე კრიალოსნისავით აწყობდა, რამდენი რამ ემეტებოდა თავისი ქვეყნისათვის, თანამოძმისა თუ მტრისათვის: „მტერი სულ დაგიბრმავდების, ეშმაკი ხმელით-ცითამცა, მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალ გზითამცა“, ოჯახის უფროსიც ჩვეული ენამზეობით ამქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერების დაბედებას უსურვებდა საკუთარ ოჯახსაც და მოკეთისასაც.

ასე ყოფილა მუდამ, ასეა დღესაც.

რა უნდა ვუსურვო 1980 წლისათვის ქართველ ხალხს უპირველესად? ჩვენი ერისათვის მარადჟამ სანუკვარი მშვიდობა! მშვიდობა დაგვკვებებოდეს, ერის გამრავლება დაგვკვებებოდეს; ზნეკეთილობა, სიუხვე და სიმტკიცე დაგვკვებებოდეს; კიდევ: დიდებულ ტრადიციათა დაცვა, წინაპართა ღვაწლის დაფასება და სიკეთის მომრავლება!

მოგილოცავ ახალ წელს, ჩემო მშობლიურო ხალხო, კვლავაც იმდენი ახალი წელი დაგელოცოს შენს ჭერქვეშ, იმდენი ახალი წლისათვის მიგეპყროს იმედიანი მზერა, რამდენსაც ამიერიდან მთელი კაცობრიობის მომავალი მიითვლის.

სერგო კლდიაშვილი

მიქელანჯელოს სიდიადე




„ნაკადულმა“ გამოსცა „სერაფიტას“ სერიის მომდევნო წიგნი, რომელიც ამჯერად მთლიანად ბაჩანა ბრეგვაძის „მიქელანჯელოს პოეზიას“ დაეთმო.

ცნობილია, რომ „აღორძინების ტიტანი“ — მიქელანჯელო, მსოფლიო პლასტიკური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, პოეტიც იყო. „მიქელანჯელოს თვითგამოხატვისათვის საკმარისი არ იყო მარტოოდენ პლასტიკური ხელოვნება. მის გოლიათურ ბუნებას, ტიტანურ ინდივიდუალობას არ აკმაყოფილებდა პლასტიკური, უნივერსალური და აბსტრაქტული ენა. ამ „ოთხსულიანი კაცის“ „თვითგასრულება“ აუცილებლად მოითხოვდა აზრისა და ვნების ინჰერენტული შინაარსის მტვირთველ ცოცხალსა და უშუალო პოეტურ სიტყვას, — მისი სულიერი ქმედობის შინაგან საფუძველს. მისი რელიგიური მსოფლგანცდისა და ეთიკური თუ ესთეტიკური მრწამსის კონკრეტულ გამოხატულებას“.

ქართველ მკვლევართაგან პირველად ბაჩანა ბრეგვაძემ გადმოგვცა მიქელანჯელო-პოეტის ლიტერატურული პორტრეტი, შებედა „სამყაროს“, სადაც ყალიბდება, სრულყოფას აღწევს და ყოველივეს განაგებს მიქელანჯელოს „თავზარდამცემი სიდიადე“.

წიგნს უძღვის ოტია პაჭკორიას წერილი „მშვენიერება დამებედა მე“, რომელშიც ნათლადაა წარმოჩენილი ის სიძნელე, რის წინაშეც იდგა ქართველი მთარგმნელი და მკვლევარი, როცა მიქელანჯელოს პოეზიის უკიდეგანო სამყაროში მიგვიძღვოდა. „საქმე ის კი არ არის, — წერს წინასიტყვაობის ავტორი, — რომ ბ. ბრეგვაძეს შეუძლია თვით მიწვდეს ყოველგვარ პირველწყაროს და არავითარი შუამავალი არ სჭირდება. მთავარი ისაა, რომ იგი მძლავრ წარმოსახვას და აზროვნებას ფლობს: ამ წიგნის ავტორმა შეძლო მიქელანჯელოს ხელოვნების ერთიან სისტემად წარმოდგენა, ამ მონოლითიდან პოეზიის ცალკე ფენომენად გამოყოფა; ხშირად საოცარი ასოციაციების დამყარება, უაღრესად ვრცელი, პირდაპირ ზღვარდაუდები მასალის ორგანიზება; სრულქმნილი კომპოზიციური სტრუქტურის შექმნა, თავისი განწყობილების, ემოციის, სულიერი მღელვარების წარმოჩენა...“

ამ წიგნით ჩვენ გავივლით რთულ და ტანჯვით სავსე გზას ხელოვნების ტიტანისა, რომლისთვისაც არაფერი იყო უფრო დიადი და წმიდათაწმიდა, ვიდრე ჭეშმარიტად წარუდინებელ ფასეულობათა შექმნა. ამგვარად იცხოვრა მიქელანჯელომ დასაწყისიდან დასასრულამდე, იმ დასასრულამდე, რომელიც სიდიადით არ ჩამოუვარდება მთელ მის ცხოვრებას, და რომელსაც ასე შთამბეჭდავად გადმოგვცემს ბაჩანა ბრეგვაძე:

„ასეთია მისი უკანასკნელი ლექსები; ასეთია მისი განცდა, მისი გრძნობა, მისი ვნება სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე. „კაეშირთა დახსნა“, „ჭეშმარიტ სამშობლოში დაბრუნება“, ზიარება ზეციერისა და ზემიწიერ არსებობასთან: (ნეტარ არს სული, რომელშიც აღარ რბის დრო)... და როცა ბოლოს და ბოლოს მოვიდა სიკვდილი, ის მარადისობის საკადრი სიტყვით შეეგება დიდი ხნის ნანატრ მხსნელს (სიტყვით, რომლის შემდეგაც რატომღაც უმწეო და უსუსური გეჩვენებათ ყოველგვარი „ღრმააზროვანი“ დასკვნა).

„სიცოცხლის უკანასკნელი დღე — თავისუფლების პირველი დღე!“..

ლადო სულაბერიძე

## მწერლების ბაღში

საახალწლოდ — ნოდარ დუმბაძეს

1.

მწერლების ბაღში მაჩაბელზე
კედარზე შემოჯდა ყვავი.
შაშვნი გალობას აჩაღებდნენ,
ზრდიდნენ გალობის ყვავილს.
დაფრთხნენ შაშვები დაზაფრულნი,
არ ჭახჭახებდნენ სუროზე.
ჩაჭკნა გალობის გაზაფხული,
გალობის უსასრულო მზე.
ატირდა დოდო ჩიკვაიძე,
ცრემლი დასცვივდა ჩვილ ყვავილზე,
პეშვებზე შერჩა ფეტვი,
შაშვების ღრუბლით სეტყვილს.
კედარზე ყვავი დაეკიდა
ღამეულ ეშმას ზარივით.
მგოსანთ მუზების სარეკიდან
აგმინდა ხმა გაბზარული.

2.

ნოდარ დუმბაძეს მიანებეს
თოფი...
ჭახ!
მოწყდა ყვავი.
. . . . . . . .
სურონი ისევ შრიალებენ,
ცრემლი შეაშრა ყვავილს.
მწერლების ბაღში მაჩაბელზე
კედარზე დაბრუნდნენ შაშვნი,
გალობას ისევ აჩაღებენ,
გვაწვდიან გალობის ჭაშნიკს.

3.

მწერალთა ბაღჩას — მზის გული,
მზის გული — მუზის ყვავილს.
ღმერთო, უმრავლე შაშვები,
ღმერთო, აშორე ყვავი.



ფოტო ვ. გოგაძისა.

ეთერ თათარაიძე

იმედის პირველი გვირილაო

## იმედის პირველი გვირილა

ეს ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნია, იმედის პირველი გვირილა, რომელიც 1979 წელს გამოსცა „ნაკადულმა“. შარშანდელი წელი მართლაც ფეხბედნიერი იყო დამწყები პოეტისათვის: პირველად წარსდგა პოეზიის მოყვარულთა წინაშე, პირველი წიგნი გამოსცა, პირველად შეაღო უნივერსიტეტის კარი, — ეთერ თათარაიძე უგამოცდოდ ჩარიცხეს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

წიგნი მხატვრულად გააფორმა თენგიზ მირზაშვილმა.

გთავაზობთ ვახუშტი კოტეტიშვილის წერილს, — ეთერ თათარაიძის წიგნის წინათქმას.

●

1979 წლის 14 აპრილს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ხალხური პოეზიის პირველი საღამო იმართებოდა. დაწყებამდე საათნახევარილა იყო დარჩენილი. კულისებში იეროდა სცენასმიუჩვეველი ხალხი, ჩამოსული საქართველოს ხევ-ხუევებიდან და მაღალმთიან სოფლებიდან: ფშაველები, ხევსურები, თუშები...

უცებ ერთ-ერთმა მონაწილემ, ზემო ალვანელმა ლელა თათარაიძემ მოგვიყვანა დარცხვენილი თუში გოგონა. გოგონას სახეზე ფოთოლ-ფოთოლ ეყარა აალებული კდემა. გადაშალა რვეული. მონუსხულებივით ვუსმენდით უჩვეულო მუსიკას, რომელსაც ჩვენამდე მოჰქონდა დიდი, შეუღალავი სამყარო. ყველაფრის გაცნობიერებასა და ბოლომდე აღქმას ნაუცბათევად ვერც ვახერხებდით, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს იყო ჭეშმარიტი პოეზია. ფიქრისა და არჩევანის დრო აღარ გვქონდა. სახელდახელოდ მოვნიშნეთ რამდენიმე ლექსი და შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა მის ლექსებს.

ეთერ თათარაიძემ ათრთოლებული ხელებით მოგვიტანა თავისი ფიქრების ჭრელი ფარდაგი, ჭროლ-ჭოდით მორთული დიდი იმედების მწვანე მინდორი, თუშეთის ქორბუდა სოფლები, ცრიატი საღამო, პირდაღებული ეხი, ქერეჭითა და ჩხლაკვით გალევებული უკ-უიკა ცეცხლი, ხის ტაბაკზე ამღერებული საცერი, ჩიხრიხზე მიგრ-მოგრეხილი ნებისყოფა, ხანდახან უეტლო ფიქრი, ყანის მკით მოკლული დარდი, მაგრამ ყოველთვის მღიე ბინდ-ლურჯ ბაწრით ამოქარგული ლექსები. — ეს ყოველივე ეთერ თათარაიძის მიერ გათავისებული სამყაროა — სიყვარულით ნატკივარი, ნალოცვარი, ნათვლემი... ნუვინ იფიქრებს თითქოს ამ ლექსების თავისებურებას მარტოოდენ თუშური კილო განაპირობებდეს. როდესაც კარგად გაეცნობით მის ლექსებს, როდესაც ყველაფერი გასაგები გახდება თქვენთვის, მაშინ კიდევ უფრო გაცხადდება მათი ავტორის ხატოვანი აზროვნების თავისთავადობა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეთერ თათარაიძის პოეზია გახლავთ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურის უიშვიათესი შემთხვევა. მეცნიერულ დიალექტოლოგიაში მიღებული ტრანსკრიფცია ზედმეტად გადატვირთავდა ტექსტს და კიდევ უფრო მეტად დააბნევდა გაუთვითცნობიერებელ მკითხველს, ხოლო დღესდღეობით მიღებული ქართული ანბანი ნამდვილად არ აღმოჩნდა საკმარისი ყოველი ნიუანსის გადმოსაცემად. ჩვენ საშუალო გეზი ავიღეთ და სიტყვები იქვე განვმარტეთ ტექსტის უკეთ გაგებისათვის.

„იმედის გვირილა' ო“ ეთერ თათარაიძის ერთ-ერთი ლექსის დასაწყისია. კრებულსაც ეს სახელი მივეცით, ვინაიდან თვით ეთერის პოეზია იმედის გვირილაა. დაე, ეხაროს და ემრავლოს ისე, როგორც დანის ქავ-ციხეთა მისადგომებზე იციან ხოლმე გვირილებმა თეთრად გადმოფეთქვა.

ვახუშტი კოტეტიშვილი

# მომავლის ბავშვებს

1979 წელს მწერალთა საერთაშორისო შეხვედრის დღეებში გამოცემული წიგნიდან

**მომავლის შემოქმედთ.**
**შეხვედრის მონაწილეთა მიმართვა.**

ძვირფასო მეგობრებო!

შეგვიძლია თუ არა ძვირფასი მეგობრები გიწოდოთ თქვენ, ჩვენთვის უხილავ ადამიანებს, რომლებსაც ვერასოდეს შეგხვდებით? დიახ! ჩვენ უფლება გვაქვს ასე მოგმართოთ, რადგან გვწამს თქვენი — იმათი, ვინც ხორცს შეასხამთ დღევანდელობის ყველაზე უფრო გაბედულ ოცნებებს. ამ რწმენამ შეგვყარა ყველანი 1979 წელს სოფიაში, მწერალთა საერთაშორისო შეხვედრაზე — შეხვედრაზე, რომლის დევიზიც — „მშვიდობა — პლანეტის — იმედია“ სიმბოლურ და ტრადიციულ ჟღერადობას იძენს.

მაინც როგორი იყო ჩვენთვის ეს წელიწადი — კარგი თუ ცუდი?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. ეს კარგი და სასარგებლო გადაწყვეტილება იყო. ბავშვი განსახიერებაა სულიერი სიწმინდისა, სიმბოლოა კაცთა მოდგმის გაგრძელებისა, ბავშვზე ფიქრიც კი ყოველ პატიოსან ადამიანს კეთილშობილ ლტოლვასა და მისწრაფებას აღუძრავს.

ბუნებრივია, ბავშვის საერთაშორისო წელიწადს ჩვენი ფიქრი მომართულია თქვენკენ — მომავლის შემქმნელთაკენ, მომავლის სინდისისაკენ. თქვენ დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა ქვეყნიერების ბედის გამო თქვენს ოცდამეერთე საუკუნეში, ისევე როგორც ჩვენ გვაწევს დღეს მძიმე ისტორიული პასუხისმგებლობა ჩვენი XX საუკუნის გამო.

ჩვენი საუკუნე იყო სასახელო საუკუნე განახლებისა და გათავისუფლებისა, საუკუნე ეპოქალური მეცნიერული აღმოჩენებისა. ეს იყო საუკუნე, როდესაც ადამიანმა სძლია დედამიწის მიზიდულობას და კოსმოსში აიჭრა.

მაგრამ მიწურულს მიახლოებული ჩვენი საუკუნე იყო აგრეთვე ეპოქა ყველაზე საშინელი, გამანადგურებელი მსოფლიო ომებისა, საუკუნე, როდესაც შეიქმნა იარაღი, რომელსაც შეუძლია მთლიანად მოსპოს კაცობრიობის ცივილიზაცია. სიკვდილის აჩრდილი შეიძლება დაეცეს კულტურის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

აი რატომაა, რომ დღეს, გადმოგცემთ რა რამდენიმე უბრალო ადამიანური სიტყვით ესტაფეტას ყოველივე იმისა, რაც კი მემკვიდრეობით მიგვიღია წინა თაობებისაგან, გადმოგცემთ ჩვენ მიერ ტანჯვით გამოტარებული სიმართლით, უწინარეს ყოვლისა, გაფიცებთ: გამორიცხეთ ომი, როგორც თქვენი დროის სადავო საკითხების გადაწყვეტის თეორიული და პრაქტიკული საშუალება. ისე ჰქენით, რომ თქვენთვის, მომავლის მწერლებისა და შემოქმედთათვის, ომი მარტოოდენ ისტორიული თემა იყოს.

ჩვენთვის, ისევე როგორც ჩვენს მერე მცხოვრები ყველა თაობისათვის, მშვიდობისა თუ ომის საკითხი კაცობრიობის არსებობისა თუ დაღუპვის საკითხია.

თვით ის ფაქტი, რომ ჩვენ მოგმართავთ თქვენ სიტყვებით „ძვირფასო მეგობრებო“, და რწმენა იმისა, რომ ჩვენი დროისათვის ესოდენ დამახასიათებელი გრძნობები და ფიქრები მოაღწევენ თქვენამდე, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ყველანი ისტორიულ ოპტიმიზმს ვქადაგებთ მეტნაკლებად.

ყველა საშინელებასა და უბედურებათა შორის, რაც კი ომებს მოუტანია კაცობრიობისათვის, ყველაზე უფრო საშინელია დაყოფა ადამიანებისა, ბარიერები მათ შორის, ფიზიკური და მორალური ნგრევა ყველაფრისა, რასაც კი შეეხო ომი. ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომელიც დაპირისპირებულ ბანაკებადაა დაყოფილი, და ვიბრძვით ამის წინააღმდეგ. რაღა თქმა უნდა, არსებობს სამართლიანი და გამათავისუფლებელი ომები, მაგრამ ყოველი ომის გამომწვევი მიზეზები მუდამ არაადამიანურია და მდაბალი. ომს მოსდევს პიროვნების ჰარმონიის, ხალხებისა და მშვიდობის მოსპობა, კაცობრიობის მიერ დაგროვილი კულტურისა და ხელოვნების მიღწევების განადგურება.

ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ: ნუ დაუპირისპირებთ ერთმანეთს ნამდვილ საკაცობრიო ფასეულობებს, ნუ დაჰყოფთ ხალხთა ცივილიზაციასა და კულტურას თეთრ, ყვითელ და შავ, რაიმე ანტაგონისტურ კულტურებად. თქვენი შემოქმედება და მთელი თქვენი ძალღონე მოახმარეთ იმას, რომ აღსდგეს ჰარმონია და ადამიანის პიროვნებისა და საზოგადოების ყოველმხრივი განვითარება! იყავით მშენებლები ერთიანი, უფრო სამართლიანი ქვეყნიერებისა, სადაც თანასწორობის კანონები იქნებიან განმგებელნი.

ძვირფასო მეგობრებო!

ადამიანებისადმი გაგზავნილ მიმართვებს ასე თუ ისე მიუღწევია ხოლმე თავის ადრესატთან. დაე თუნდაც ბოთლით, ფსკერისკენ მიმავალი ხომალდის მეზღვაურს რომ გადაუსვრია ტალღებში, ან საფოსტო მტრედის ფრთებით, [illegible] ამოტვიფრული თუ სისხლით დაწერილი სახით... დღეს ჩვენ მოგმართავთ, მომავლებს. ჩვენ გაბარებთ ბავშვებისადმი ჩვენს მიმართვას და თან დავურთავთ მწერლების პირად მიმართვას ბავშვთა საერთაშორისო ასამბლეის „მშვიდობის დროშის“ მონაწილეებისადმი — ეს ასამბლეა გაიმართება ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ბავშვის საერთაშორისო წელიწადის აგვისტოს თვეში. ეჭვი არ არის, ბავშვთა საერთაშორისო ასამბლეის „მშვიდობის დროშის“ მაღალი და კეთილშობილი მიზანი ხელს შეუწყობს ბავშვთა სულში შემოქმედებითი საწყისის გამოღვიძებას. დაე მან ერთმანეთს შეახვედროს ჩვენი პლანეტის ყოველი კუთხის ბავშვები და ასწავლოს მათ ურთიერთობა სილამაზისა და ხელოვნების დიად, ერთიან, ზოგადსაკაცობრიო ენაზე.

ძვირფასო მეგობრებო! მომავლის შემოქმედნო! მომავლის ადამიანებო! ჩვენ გვწამს თქვენი!

ეს ღია მიმართვაა. ყოველი ქვეყნის ყოველ მწერალს, რომელიც კი იზიარებს და მხარს უჭერს მის იდეასა და სულისკვეთებას, შეუძლია შეუერთდეს ამ მიმართვას, ხელი მოაწეროს მას და გაავრცელოს.

ბულგარეთი — მწერალთა შეხვედრის ორგანიზატორი — კისრულობს გამოსცეს და გაავრცელოს ეს მიმართვა ახლა, აგრეთვე ხელახლა გამოსცეს იგი 2000 და 2050 წლებში. წინადადება შემოგვაქვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოუწოდოს ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, ასევე მოიქცნენ.

**სოფია, 1979 წლის ივლისი.**

# ღია ჭრილობა

რევაზ ჯაფარიძე

თითქმის წარმოუდგენელია, უკვე დასამარებული და ისტორიის კუთვნილებად ქცეული გერმანულ-იტალიური ფაშიზმის წინააღმდეგ, სამარცხვინო ბოძზე მის გასაკრავად დღეს კაცმა ფილმი გადაიღო, ისიც დოკუმენტური ფილმი, რაიმე ახალი თქვა, მაყურებელი გაიტაცო და ის დიდი ემოციური დაძაბულობა განაცდევინო, რასაც ამავე თემაზე შექმნილ პირველ შთამბეჭდავ ქმნილებებთან შეხვედრისას განვიცდიდით. თითქოს ყველაფერი დიდი ხნის წინათ დაიწერა და თავის ადგილზე დადგა, თითქოს ყოველივე ახალი, რაც შეიძლება ამ მიმართულებით გაკეთდეს, მხოლოდ განმეორება იქნება უკვე თქმულისა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ცხელ გულს, მოვლენასთან შემოქმედის წრფელ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების შესაფერი მხატვრული ფორმებით გამოსახვას სწორედ სასწაულმოქმედი ძალა ჰქონია. ვინც კინოს სახლის მაყურებელთა დარბაზში ახალი ქართული ფილმის პრემიერას დაესწრო, ამ დებულებათა ჭეშმარიტება ოდნავადაც არ დააეჭვებს. ერთსულოვანი ტაში დიდხანს არ შეწყდარა. ასობით აღგზნებული სახე იმაზე მეტყველებდა, რომ რამდენიმე წუთის წინ ეკრანზე ნანახი მაყურებლის სულის სიმებს შეეხო, ფილმმა რაღაც შესძრა ადამიანთა არსებაში და უკვე შეხორცებულ ჭრილობას პირი ისევ გაეხსნა. მაგრამ ეს ტკივილი ტკბილ-მწარე იყო, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრის ტკივილი, რომელიც სანახევროდ სიხარულია...

მაინც რომელი იყო ეს ფილმი, ასე რომ ააღელვა ბოლო დროის ქართული კინოს არცთუ მცირე გამარჯვებებით განებივრებული ჩვენი მაყურებლები, დიდი კინოს სამშობლოდან სახელმწიფო პრემიებისა და ოქროს მედლების ჩამოტანაც რომ აღარ უკვირთ და თავისი ხელოვნებისაგან კიდევ მეტს მოითხოვენ? ეს ფილმი „La Stella alpina“, „ალპური ვარსკვლავი“ გახლდათ. იგი თბილისის დოკუმენტური ფილმების სტუდიის კინოდოკუმენტალისტებმა გადაიღეს და ამით ახალი, 1980 წელი მოგვილოცეს. ფილმის სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი რევაზ თაბუკაშვილია. მწერალი აქაც, მიხეილ თამარაშვილზე გადაღებული უპრეცედენტო ფილმის შემდეგ, ახალ, რეჟისორ-დოკუმენტალისტის ამპლუაში მოგვევლინა. აქვე ვიტყვი, რომ ფილმის შემქმნელი არც ამ თავისი ახალი მდგომარეობით შემოიფარგლა. „ალპური ვარსკვლავი“ სათავეს უდებს ახალ ჟანრს ჩვენს კინემატოგრაფში, ჟანრს კინოპუბლიცისტიკისას, რომელიც აქამდე ასე გამოკვეთილად არ გვქონდა და ამიერიდან კი გვექნება. რევაზ თაბუკაშვილი უშუალოდ დგება მკითხველის, ამჯერად კინომაყურებლის წინაშე, როგორც საზოგადოდ ყოველი პუბლიცისტი, და ეკრანზე წარმოსახულ მოვლენებს თავისებურ ინტერპრეტაციას და შეფასებას აძლევს. სიტყვიერი მასალა, დიქტორის ტექსტის სახით, თან ერთვის გამოსახულებას და მასთან ერთად, ერთ მთლიანობაში მოქცეული, ერთნაირი ძალით ეუფლება მაყურებლის გულსა და გონებას.

„ალპური ვარსკვლავი“ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანული დივიზიების გაზეთია. დივიზიებს იტალიის დიდი გამათავისუფლებლის, ჯუზეპე გარიბალდის სახელი ერქვა. ჩრდილოეთ იტალიის მთებში, ალპებში, სადაც საკუთარი და გერმანული ფაშიზმის დასამხობად ეს ლეგენდარული შენაერთები მოქმედებდნენ, გაზეთი „ალპური ვარსკვლავი“ ომის მთელ მანძილზე გამოდიოდა და ხვალინდელი თავისუფალი იტალიის, თავისუფალი ევროპის დროშას აფრიალებდა.

ფილმი იწყება ძველებური საბეჭდი მანქანის ენერგიული გუგუნ-ღრჭიალით. იბეჭდება და ეკრანზე მსხვილი პლანით ჩნდება „La Stella alpina“-ს ახალი ნომერი. მას მოსდევს ტიტრებიც. იქვე დიქტორის — რევაზ თაბუკაშვილის ხმა: „ომი იტალიაშიაც დიდი ხანია დამთავრდა“ ვითომ უბრალო სიტყვებია, საყოველდღეოდ სახმარი, მათს მოფიქრებას და აქ ჩასმას თითქოს დიდი ფიქრი და მიხვედრა არ სჭირდება. რარიგად ვცდებით! ეს თითქოსდა ტრივიალური ჭეშმარიტება, რომ ომი არა მარტო ჩვენში, იტალიაშიაც დიდი ხანია დამთავრდა, თავისი ფარული ნაღვლიანი იუმორით და შიგ ჩაქსოვილი ინტონაციის წყალობით მაყურებელს გაუხუნარ სიახლედ ჩაესმის და ამის შემდეგ უკვე შეუძლებელი ხდება, ეკრანს თვალი მოაშორო.

შენ, მაყურებელი, უკვე ხვდები, რომ არავინ არ აპირებს ნოვაციებით განგაცვიფროს და თვალებში ნაცარი შემოგაყაროს, ხვდები, რომ ფილმის ავტორები შენი მეგობრები არიან და მხოლოდ ერთი რამ დაუსახავთ მიზნად, თავიანთი აღთებული გულების ცეცხლი ჩვენს გულებსაც გადმოსდონ და ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარულს გვაზიარონ.

იქ, ფილმში, ვერ შეხვდებით ამგვარ მაღალფარდოვან სიტყვებს, ახლა რომ წამომცდა, მაგრამ ამ სიტყვებით ნანახ-განცდილის სულისკვეთების დახასიათებას ვცდილობ და, ალბათ, მკრეხელობად არავინ ჩამითვლის, თუ სხვა, ამ მიზნის შესაფერი უკეთესი სიტყვა ვერ ვიპოვნე.

მაგრამ მთავარი, რისთვისაც ხელში კალამი ავიღე, მარტო ფილმი კი არ არის. მთავარია ის წინასწარი მუშაობა, რომელიც იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ჩვენი თანამემამულეების საქმეთა უკვდავსაყოფად რევაზ თაბუკაშვილმა ფილმის შექმნამდე გასწია. ამის ირგვლივ ფილმში არაფერია ნათქვამი, მაგრამ მე ზოგი რამ ვიცი და მინდა ეს მკითხველს გავუზიარო.

რევაზ თაბუკაშვილს განზრახული აქვს, დოკუმენტური ფილმების სერია მიუძღვნას უცხოეთში მოღვაწე ქართველებს, მათს როლსა და დამსახურებას საზღვარგარეთის ქვეყნების ძველ, ახალ თუ უახლეს ისტორიაში.

„ალპური ვარსკვლავი“ განზრახული სერიის მეოთხე ფილმია. პირველსა და მეორე ფილმში, რომლებიც რ. თაბუკაშვილის სცენარის მიხედვით რეჟისორმა გია ჭუბაბრიამ გადაიღო, როგორც ყველას გვახსოვს, ჩრდილოეთ ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე 850 ქართველი მეომრის მიერ გაწეული უმაგალითო გმირობის ამბავია გადმოცემული, მესამე თავდადებულ მამულიშვილს, სამშობლოსაგან შორს დაღუპულ მიხეილ თამარაშვილს მიეძღვნა, მეოთხე — იტალიის გარიბალდისტულ მოძრაობაში ჩვენი მიწაწყლის შვილების მონაწილეობას...

ხომ ვწერთ მრავალ დაზგასთან მომუშავე ფეიქრებზე, ფოლადის მდნობლებზე, მესიმინდეებზე, მეჩაიეებზე, მევენახეებზე, მეცხოველეებზე, მათ ნოვატორობასა და მამულიშვილურ თაოსნობაზე! ვინ აგვიკრძალა, მწერალზედაც დავწეროთ, თუკი ის ამას იმსახურებს?

მაშ, ერთ შემთხვევას კიდევ გავიხსენებ.

ჩემთვის ტერა ინკოგნიტა არ არის ტექსელის ცნობილი აჯანყების თემა. დასასრულს ელოდება და, ალბათ, უახლოეს მომავალში კიდევაც დასრულდება ჩემი რომანი „ვნების კვირა“, რომელიც ტექსელის ტრაგედიას ეძღვნება. მასალების მოგროვების და რეკოგნოსცირების მიზნით მეც მომიწია ჰოლანდიაში ყოფნამ. ვინახულე კუნძული ტექსელიც. ძმათა სასაფლაოს, სადაც ხუთას ორმოცდაათზე მეტი ქართველი მეომარი განისვენებს იმავე ბრძოლებში დაღუპულ ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად, კუნძულზე თვალის ჩინივით უვლიან. ყოველი წლის 4 მაისს ჰააგიდან ტექსელზე მიდის საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობა, იკრიბებიან ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოპატიჟებული სტუმრები და ძმათა სასაფლაოზე გმირულად დაღუპული ჯარისკაცების მარადიული ხსოვნისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი იმართება. ჩრდილოეთის ზღვაში მიმავალი გემები, ტექსელს რომ ჩაუვლიან, როგორც ანდერსენის ზღაპარშია ნათქვამი, სამი მოკლე შეძახილით მიესალმებიან უცხო მიწაზე დაღუპულ გმირებს...

ყოველივე ამას, თანამედროვე ნიდერლანდების ცხოვრებაში ტექსელის გმირთა ეპოპეის გაცოცხლებას, მით უცხოეთში მომუშავე საბჭოთა ორგანოების დაინტერესებას და იმ სამგლოვიარო-საზეიმო დღეს, 4 მაისს, რევაზ თაბუკაშვილის მამულიშვილურ შემართებას, მოწადინებას, ადამიანებთან, მათ შორის უცხოელებთან ღირსეული ურთიერთობების დამყარების უნარს უნდა ვუმადლოდეთ.

რევაზ თაბუკაშვილი ამითაც არ დაცხრა. ქართველი მოქანდაკეები აიყოლია, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე ქართული ორნამენტებით შემკული ჭიშკარი გამოაჭედინა, ჰოლანდიაში ვაი-ვაგლახით ჩაიტანა და იქ, კუნძულ ტექსელზე, ძმათა სასაფლაოს შესასვლელში დადგა...

ზოგი რისთვის დადის უცხოეთში და ზოგი რისთვის! ვინ მოსთვლის, რამდენი მინახავს რომისა და პარიზის, ლონდონისა და სტამბოლის ბაზრებსა და მაღაზიებში მოძუნძულე, დიახ, სწორედ მოძუნძულე ჩვენი თანამემამულეები, როდესაც პანთეონისა და სან-პედროს, ღვთისმშობლის ტაძრის, ტაუერისა და თოფ-კაფას ღირსშესანიშნაობანი თვალშეუვლებელი რჩებოდათ!

სიტყვამ მოიტანა და ეს ყოველივე იმისთვის გავიხსენე.

რევაზ თაბუკაშვილმა ამჯერადაც აიყოლია ქართველი მოქანდაკეები. რამდენი დრო, შრომა და მოთმინება უნდა შეეწირვოდა იმას, რომ იტალიის მიწაზე დაცემულ ანტიფაშისტთა, მათ შორის ქართველების, საძმო საფლავზე დასადგმელი გრანდიოზული მონუმენტი, რომელიც მოქანდაკე გიორგი ჯაფარიძეს შეუსრულებია, საქართველოდან შორეულ იტალიაში მაინც და მაინც ვებერთელა ტანკერად ქცეულ ფორე მოსულიშვილს უნდა წაეღო!

ესეც არ არის, რასაკვირველია, ფილმში, მაგრამ იგულისხმება, ხოლო რაც იგულისხმება, ის ხშირად ნათქვამზე უფრო არსებითია ხოლმე.

თვალწარმტაცი, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი იტალია, დიდ ხუროთმოძღვართა, მოქანდაკეთა და ფერმწერთა, პოეტთა, მუსიკოსთა და კინემატოგრაფისტთა ჯადოსნური ქვეყანა, ბევრ ჩვენგანს უნახავს და კიდევაც დამტკბარა მისი მშვენიერებით, მაგრამ იტალია, ახალ ფილმში რომ წარმოაჩინეს, საოცრად ახლობელი და შინაურია, ის თითქოს ჩვენი პატარა ქვეყნის, საქართველოს, გაგრძელებად გადაიქცა.

იტალიელებისა და სხვა ერების შვილების გვერდით იტალიაში ისეთივე საარაკო თავდადებითა და შეუპოვრობით იბრძოდნენ ქართველი ვაჟკაცები, როგორც მრავალი წლის წინათ მათს მამა-პაპას საკუთარი მამულის დასაცავად ათწილ მრავალრიცხოვანი მტრის ასალაგმავად უბრძოლია. ფილმში ცოტა როდია ამის დამადასტურებელი ეპიზოდი.

განა არა ღირს თავის მოწონებად: იტალიას ორი უცხოელი ეროვნული გმირი ჰყავს, ერთია რუსი თევდორე პოლეტაევი და მეორე ქართველი, კარდანახელი ბიჭი ფორე მოსულიშვილი!

შორს მომხდარი გმირობის ამბავი სამშობლოში გვიან მოვიდა. თუ არ ვცდები, პოლეტაევისა და მოსულიშვილის სახელები პირველად სეკიამ და გარიბალდელთა დივიზიების კომისარმა ჩინო მოსკატელმა ახსენეს თავიანთ წიგნში, რომელიც იტალიურ წინააღმდეგობის მოძრაობას მიეძღვნა.

ფილმი „ალპური ვარსკვლავი“ საოცარი დამაჯერებლობითა და სიმართლით მოგვითხრობს მოსულიშვილის გმირულად დაღუპვის ამბავს. ყოველი ნაბიჯი, რომელიც კი ფორეს იმ დღეს გადაუდგამს, მხოლოდ დიდსულოვან ადამიანს და მხოლოდ გმირს შეეძლო გადაედგა.

კადრშია უკვე ხანშიშესული ტერეზინა მოტა — ფორეს შეყვარებული, ვისთან ერთადაც ის მშობლიურ საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდა. აი, ტერეზინას ბინაც, სადაც ფორე და მისი მეგობრები იყვნენ იმ წამს, როდესაც სოფელს ესესელები მოუახლოვდნენ. „მე მინდოდა, ისინი აქ დარჩენილიყვნენ“, — ამბობს გულისტოლის თანამემამულეთა დანახვით და მომხდარის გახსენებით გულამომჯდარი ტერეზინა. არ ჰქნა ფორემ. კარგად იცოდა, რა დღეშიაც ჩაცვივდებოდნენ მისი საყვარელი ადამიანები, თუ ომის ღმერთი გერმანელებს გაუღიმებდა, და ისინი გამაგრდნენ მიტოვებულ ქოხში სოფლის განაპირას. აი, ის ქოხიც. ცოცხლად გადარჩენილები იგონებენ, რა და როგორ მოხდა აქ. ორივე მხრიდან ბრძოლის ცეცხლი დაინთო. გერმანელებმა მეთაური მოითხოვეს. თუ მეთაური არ გამოვა, ყველას ამოგხოცავთო. გავიდა ფორე. „გაუმარჯოს თავისუფალ იტალიას! გაუმარჯოს საქართველოს!“ და გამხეცებული მტრის წინაშე თავი მოიკლა. დანარჩენები გადარჩნენ. გერმანელებმა შემდეგ ნახეს: ფორეს გულზე ვარსკვლავი ეკეთა. მიხვდნენ: იგი არც იტალიელი იყო, არც მეთაური. ნამდვილმა მეთაურმა — ედო დელ გრატომ ქოხიდან გასვლა ვერ გაბედა. ფორე მის მაგივრად გავიდა და მის მაგივრად დაიღუპა, რათა სხვები გადაერჩინა.

„ომი დასრულებული იყო, პარტიზანული დივიზიები უკვე იშლებოდა, — ამბობს კადრში კაპიტან ბრუნოს სახელით ცნობილი ალბინო კალეტი. — ეს რომ არა, ჩადენილი სიმხდალისათვის, ომის დროის კანონების თანახმად, ედო დელ გრატო სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მიეცემოდა!“

ფილმში ჩანს ედო დელ გრატოც. ის სადღაც ალპებში ცხოვრობს. ოცდაათ წელიწადზე მეტია, არავის სჩვენებია. თანამებრძოლებში გამოსაჩენი პირი არა აქვს. მოწმეები. მათ საზიდრით ჩაიტანეს ფორეს ცხედარი გესტაპოს კანცელარიის ეზოში. აი ის ვიწრო გზა. თავი სადღაც ზემო იმერეთში გგონია. „დღეს როგორ ინადირეთ, არწივებო?“ — ჰკითხა მოკლულის გარეშემო მოფუსფუსე ესესელებს გერმანელებთან გაშინაურებულმა ადგილობრივმა კახპა გოგომ და გვამს ფეხის ქვინტი გაჰკრა მხარში. „კარგად“, — მიუგეს ესესელებმა და გაიღრიჭნენ. იმ ღამეს კახპა განგმირული ნახეს თავის ლოგინში. პარტიზანებმა ძვირად დაუსვეს დაღუპული გმირის გვამის შეურაცხყოფა.

ფილმში თითქოს ლეგენდიდან შემოდიან წინააღმდეგობის მოძრაობის დიდი მოთავეები: უკვე მოხუცებული, მაგრამ ძველებურად ელეგანტური ჩინო მოსკატელი, კალდარა, ალბინო კალეტი... ისინი იგონებენ თავიანთ თანამებრძოლებს. და კინოობიექტივს გადავყევართ ხან სად და ხან სად.

ბათუმიდან გადის „ფორე მოსულიშვილი“. მას საქართველოში დამზადებული მონუმენტი მიაქვს. ქართველი მოქანდაკის ხელით დამზადებული ძეგლი მიქელანჯელოს მიწაზე უნდა დაიდგას!

ჩრდილოეთ იტალიის მთებში, ფონდოტოჩე დი ვერბანიაში უკვე გამოასვენეს ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპული 1250 კაცი. მათ შორის მრავალი ქართველი. და მემორიალი გახსნეს. აი კვარცხლბეკიც, რომელიც საქართველოდან ზღვით წამოსულ მონუმენტს ელოდება...

ახლა გამოაცხადებენ იმ ქართველთა და საქართველოს მიწაწყალზე მცხოვრებ სხვა ერების შვილების გვარებს, ვინც აქამდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა და რომელთა ვინაობა ფილმის შემქმნელებმა იტალიის პარტიზანულ არქივებში აღმოაჩინეს. სულ 83 კაცია. დაღუპულთა სახელები და გვარები პირველად ცხადდება, მაგრამ ეს უბრალო გამოცხადება, ფაქტის აღნიშვნა კი არ არის, დიქტორის ხმა თითქმის საზეიმოდ ჟღერს. ასე ეკუთვნის სიკვდილს და ისიც გმირულ სიკვდილს სიმართლისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ყოველი ჯურის ბნელეთის მოციქულთა ამოძირკვისათვის.

როდესაც ამას ვამბობ, ისე ნურავინ იფიქრებს, თითქოს ავტორები იფარგლებოდნენ მხოლოდ თავიანთ თანამემამულეთა თავდადების ჩვენებით. ისინი სიმართლით ასახავენ ბენიტო მუსოლინის სისხლიანი რეჟიმით ჯვარზე გაკრულ იტალიას. დიდი ტაქტითა და ჭეშმარიტი ოსტატობითაა, მაგალითად, ნაჩვენები ალჩიდე ჩერვისა და მისი შვიდი ვაჟიშვილის დახვრეტის ეპიზოდი. ნაწყვეტ-ნაწყვეტად კაკანებს დაზგის ტყვიამფრქვევი. ჯერი, კიდევ ჯერი და ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა პოზაში დაცემული ქვის სტატუები. ალჩიდე ჩერვის ჩურჩული დაცემის წინ: „დედამ თქვა, შვილებთან მივდივარო და... წავიდა!“

რომში მოკავშირეთა ჯარების შესვლის რამდენიმე დღით ადრე პარტიზანებმა ააფეთქეს ავტომანქანა, რომელზედაც 32 ესესელი იჯდა. ბრძანება ბერლინიდან: „დახვრიტეთ ათი ერთის სანაცვლოდ! შეიპყრეს, ვინც ხელში ჩაუვარდათ. კადრშია ფოსე არდიატინა — რომის კატაკომბები, 325 უდანაშაულო იტალიელის დახვრეტის ადგილი!

იტალიის ერთ-ერთ ციხეში, იტალიისა, სადაც სიკვდილით დასჯას კანონთა კოდექსი კრძალავს, დღესაც ზის ვინმე ვალტერ რედერი, რომელსაც ბრალი მიუძღვის 1830 იტალიელის, მათ შორის შიმშილით გასავათებული უმწეო ქალების, ბავშვებისა და მოხუცებულების დახვრეტაში. სამუდამო პატიმრობამისჯილმა ვალტერ რედერმა შეწყალება ითხოვა და წერილობით მიმართა ქალაქის მერს. მერმა ხალხზე მიუთითა. NO! — ვეებერთელა ასოებით ამოდის ეკრანზე ხალხის პასუხი და გრძნობ, რა უსაზღვროა ეს რისხვა. ვაი მას, ვინც ამ რისხვას დაიმსახურებს!

მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი და უპატიებელი დანაშაული იტალიელი ხალხის წინაშე მაინც მისმა თვითმარქვია ბელადმა — ბენიტო მუსოლინიმ ჩაიდინა. ფილმში ჩართულია უნიკალური ფირი. ლაპარაკობს ვალტერ აუდიზიო, პარტიზანებს შორის პოლკოვნიკ ვალერიოს სახელით ცნობილი. ეს ის კაცია, ვისაც იტალიელი ხალხის დაუწერელმა სამართალმა მუსოლინის სიკვდილით დასჯა მიანდო. სიკვდილის წინ დუჩემ მას ქრთამი შესთავაზა, იმპერიას გაჩუქებო, დაპირდა. „იმ იმპერიას, რომელიც უკვე აღარ არსებობს!“ — დასძენს დიქტორი და უნებლიეთ გახსენდება პირველი ფრაზა, ეკრანიდან საბეჭდი მანქანის მონოტონურ რაჩხა-რუჩხში რომ მოისმის: „ომი იტალიაშიაც დიდი ხანია დამთავრდა“...

მილანი. ლორენტოს მოედანი. აი, ადგილი, სადაც თავდაყირა დაჰკიდეს ტყვიებით დაცხრილული მუსოლინის გვამი!...

ეს ტრაგიკული სურათი გხიბლავთ ფერადოვნებით და მრავლისმეტყველი კადრების სიუხვით, რაც ფილმის დამდგმელი ოპერატორების: იური ბარამიძის, გენო რეხვიაშვილის, ლომერ ახვლედიანისა და ენრიკო გერმესაშვილის უზადო ოსტატობას და ერთსულოვნებას უნდა მიეწეროს. არანაკლები მხატვრულ-აზრობრივი ფუნქცია აკისრია კომპოზიტორ იაკობ ბობოხიძის მუსიკას, თავ-თავის ადგილზე ჩართულ იტალიურ და ქართულ ქორალებს, თენგიზ მირზაშვილის მხატვრობას და ხმის ოპერატორ ვასილ არველაძის მიერ ფილმის გახმოვანებას.

„ალპური ვარსკვლავი“, კიდევ ერთი ადამიანური დოკუმენტი ფაშისტური კოშმარის წინააღმდეგ, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენს თანამემამულეთა დიდი ღვაწლის აღნუსხვა იტალიისა და ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობაში. ეს არის მართალი, გულითადი მოთხრობა ძმობაზე, თვით მაშინაც კი რომ ფრთებს შლის, როცა ადამიანებმა ერთმანეთის ენა არ იციან. ადამიანები, თუ ისინი მართლა ადამიანები არიან და არა ფანატიზმით გონებადაბნელებული პიროტყვები, ადვილად უგებენ ერთმანეთს და არა მარტო უგებენ, სამუდამო ადგილსაც კი იჭერენ ერთიმეორის ცხოვრებაში.



# „ოტელლო“ საოპერო თეატრში

ახალი წლის პრემიერა

ამ დღეებში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი უჩვენებს მსოფლიო საოპერო კლასიკის ურთულესი ქმნილების — ვერდის „ოტელლოს“ პრემიერას.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა სპექტაკლის შემქმნელებს.

**ზურაბ ანჯაფარიძე:**

ჯუზეპე ვერდის „ოტელლოს“ დადგმას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თეატრისათვის არა მარტო იმიტომ, რომ ვაჩვენოთ ჩვენი სახე, არამედ შემოქმედებითი კოლექტივის აღზრდისათვისაც. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ეს იქნება დასტური როგორც მსახიობების, ისე თეატრის ყოველი თანამშრომლის დაუზოგველი შრომითი ენთუზიაზმისა. „ოტელლოზე“ მუშაობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რა დიდი მნიშვნელობა აკისრია საოპერო სპექტაკლში რეჟისორს. დიმიტრი ალექსიძის რეპეტიციებს ის მსახიობებიც კი ესწრებოდნენ, რომლებიც სპექტაკლში დაკავებულნი არ იყვნენ. დამდგმელმა რეჟისორმა, დირიჟორმა გივი აზმაიფარაშვილმა და მხატვარმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა შექმნეს ნამდვილად ღირსეული სპექტაკლი. (ვბედავ ამის თქმას, რადგან არ მეშინია პრემიერის შემდეგ საწინააღმდეგო აზრის წარმოშობისა).

მე, პირადად, ბევრგვარად განვიცდი სიხარულს: ერთი, როგორც ოტელლოს როლის შემსრულებელი, მეორე, როგორც თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, და მესამე, რაც მთავარია, როგორც ქართველი მსმენელი, დაჯერებული იმაში, რომ საოპერო თეატრს შეუძლია ნამდვილად რთული სპექტაკლების მაღალხარისხოვნად გადაწყვეტა. მიხარია და მოუთმენლად ველი მომავალ შეხვედრას მაყურებელთან.

**დიმიტრი ალექსიძე:**

არიგო ბოიტოს ლიბრეტო ეს თავისებური ხიდია შექსპირის პოეზიასა და ჯუზეპე ვერდის ღვთაებრივ მუსიკას შორის. ვერდის „ოტელლოში“ მე ნამდვილად შეყვარებული ვარ. ვფიქრობ, რომ არც პოეზიაში, არც პროზაში, არც მხატვრობაში არ თქმულა ისე ამაღლებულად, ისე ძლიერ, ისე წმინდად სიყვარულის შესახებ, როგორც ვერდის ამ ოპერაში (შესაძლოა მეტისმეტად სუბიექტური ვარ). გენიალურმა პუშკინმა გამოსთქვა აზრი, რომ ოტელლო ეჭვიანი კი არა, მიმნდობია. პუშკინის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ოტელლოს განსაკუთრებით უყვარს ადამიანი, იგი მთელი არსებით ენდობა მას. მისი უდიდესი ტრაგედია იმაშია, რომ იაგოს ვერაგობის შედეგად იგი ჰკარგავს ნდობას ადამიანის მიმართ. და რაც მთავარია, არკვევს, რომ ის სრულიად უცხოდ დარჩა ამ ქვეყანაში. ეს გახდა ძირითადი ჩემს ჩანაფიქრში. მინდა ვთქვა, რომ ადამიანებმა უნდა უპატრონონ ერთმანეთს, დაიცვან ისინი ადამიანურისაგან გაძარცვული ადამიანებისაგან.

ოპერაზე მუშაობისას მსურდა ხაზი გამესვა ვერდის „ოტელლოს“ მთავარი დამახასიათებელი თვისებისათვის, რომ ბგერა და სიტყვა ერთ მთლიან კომპლექსად წარმოჩენილიყო. მიმეღწია მუსიკალური და დრამატული მსახიობის სინთეზისათვის. მე მჯერა, რომ მსახიობი, რომელიც ვერ აზროვნებს, ბრწყინვალე ვოკალური მონაცემების მიუხედავად ამ ოპერაში ვერასოდეს ვერ იმღერებს.

თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ თბილისის საოპერო დასი საუკეთესო დასია. ნებისმიერ თეატრში გაძნელდებოდა სოლისტთა ასეთი ანსამბლის შეკრება. ყოველ სახეს, ყოველ პარტიას თავისი ღირსეული შემსრულებელი აღმოაჩნდა.

განმაცვიფრა მსახიობთა მონდომებამ, მუშაობის ჟინმა, დღეში ორჯერ თავდაუზოგავმა რეპეტიციებმა ჩემთან, დირიჟორთან, კონცერტმეისტერებთან თუ სცენაზე.

მე მადლობელი ვარ ამ დასისა, თეატრის თითოეული მუშაკისა, რომლებმაც ასეთი თავდადებით იმუშავეს; და კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი შრომა ღირსეულ ნაყოფს გამოიღებს და მსმენელის მოწონებას დაიმსახურებს.

**ფარნაოზ ლაპიაშვილი:**

დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით და თეატრის მთელი კოლექტივის ხელშეწყობით, ძალების დაუზოგავად, უკომპრომისოდ ვაწარმოებდით „ოტელლოს“ სცენოგრაფიის ჩვენეული მოდელის გამოძერწვას, რომელიც ამ გენიალური მუსიკალური დრამატურგიის ხასიათის და სულის ხორცშესხმა უნდა ყოფილიყო.

შექმნილი გვაქვს ერთიანი ფაქტურის რთული ტექნოლოგიური სისტემა, რომლის ტრანსფორმაცია და განათების ზუსტი პარტიტურა, ვფიქრობთ, მტკიცედ აორგანიზებს სცენურ სივრცეს, მსახიობის მოქმედებას უქმნის ერთიან ემოციურ ფონს და სპექტაკლის მთელ სანახაობით დრამატურგიას კონკრეტულ ხასიათს ანიჭებს. ეს ჩვენი ჩანაფიქრია, საბოლოო სიტყვა კი მაყურებელს ეკუთვნის.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

# ე. ა. გულია

86 წლისა უეცრად გარდაიცვალა ელენა ანდრიას ასული გულია — აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი იოსების ძე გულიას მეუღლე, ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი.

ელენა ანდრიას ასული თვრამეტი წლისა იყო, როცა 1911 წელს, სოხუმის ქალთა გიმნაზიის მოსწავლე, ცოლად გაჰყვა დიმიტრი გულიას. ამ დროიდან აფხაზური ლიტერატურის პატრიარქის სიკვდილამდე უერთგულესი დამხმარე იყო დიმიტრი იოსების ძის მრავალფეროვან და უმძიმეს საქმიანობაში.

განსაკუთრებული სიძნელეები გაიზიარა ელენა ანდრიას ასულმა დიმიტრი გულიასთან ერთად აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში. ეს ის პერიოდი იყო, როცა გამოვიდა დიმიტრი გულიას პირველი წიგნები, რომლებითაც დაიწყო აფხაზური მხატვრული ლიტერატურა: „ლექსები და შაირები“ (1912 წ.), „ყმაწვილის წერილი ქალიშვილს“ (1913 წ.), აგრეთვე მისი მეცნიერულ-პოპულარული შრომები, საერთო ლიტერატურის თარგმანები. ეს როდი მოხდა ელენა ანდრიას ასულის თავდადებისა და მხარდაჭერის გარეშე.

ელენა ანდრიას ასულმა ასეთივე აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზური თეატრის ორგანიზაციაში, რომელიც ზეიმობს თავისი არსებობის სამოცი წლისთავს. თეატრი კი დაარსდა ხალხის დაუღალავი განმანათლებლისა და მოღვაწის დ. ი. გულიას მიერ. მოძრავი თეატრის პირველი ფარდა შეკერილი იყო ელენა ანდრიას ასულის ხელით.

ელენა ანდრიას ასული დიდ ყურადღებას უთმობდა მოზარდ შემოქმედ ახალგაზრდობას, დ. ი. გულიას მოწაფეებს, რომელთაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ქომაგობდა.

ელენა ანდრიას ასულის გულკეთილობა უგრძვნია ყველას, ვისაც კი სახალხო პოეტის სახლის კარიბჭეზე გადაუბიჯებია. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები და მწერლები ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ა. ფადეევი, ა. ტვარდოვსკი, ნ. ტიხონოვი, კ. სიმონოვი, ვ. აჟაევი, გ. ტაბიძე, შ. დადიანი, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, რ. გამზატოვი, ყ. ყულიევი და ბევრი სხვა.

ძნელია სიტყვებით შეაფასო ის მუშაობა, რასაც ელენა ანდრიას ასული ეწეოდა დიმიტრი გულიას სიკვდილის შემდეგ მისი უმდიდრესი არქივის მოსაწესრიგებლად, რომელიც დღეს წარმოადგენს აფხაზი ხალხის, მთელი საბჭოთა ლიტერატურის კუთვნილებას. ელენა ანდრიას ასული აგროვებდა მასალებს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, დიდი მუშაობა გასწია დ. ი. გულიას ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის შექმნისათვის.

ამ კეთილი ადამიანის წყალობით დამკვიდრდა დიდი პოეტის დაბადების დღის აღნიშვნა ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში.

უანგარობისათვის, გულკეთილობისა და გულუხვობისათვის ელენა ანდრიას ასული სარგებლობდა საყოველთაო პატივისცემით. აფხაზი მწერლები მის დედობრივ მზრუნველობას ყოველთვის უპასუხებდნენ შვილური სიყვარულით და სამართლიანად უწოდებდნენ მას აფხაზური ლიტერატურის დედას.

ყველა იმათთვის, ვინც იცნობდა ამ გასაოცარ, გულუხვ, სიცოცხლით სავსე ადამიანს, ვინც იცნობდა მის თავდადებულ შრომას, ელენა ანდრიას ასული გულიას ცხოვრება მუდამ იქნება შესანიშნავი მაგალითი, დაუვიწყარი გაკვეთილი.

**აფხაზეთის მწერალთა კავშირი.**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია იუწყებიან მწერალ ნიკოლო მიწიშვილის მეუღლის

**თამარ ბაგრატიონი-მიწიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სახელმწიფო გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი იუწყება, რომ გარდაიცვალა საბავშვო მწერალი, მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

**ქეთევან ხაჩიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოდის პარასკეობით
(ფასი 10 კაპ.)

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

რედაქტორის მაგიერ თამაზ ბიბილური.
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, ნ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, ვ. ჭელიძე, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. დაბეჭდილია ოფსეტური წესით ახალ საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29. უე 03304